

# ღიბერატურული გაზეთი

№16 (296) 3 - 16 სექტემბერი 2021

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ბესიკ ხარანაული

ერთი პეშვი ალუბალი  
თავის წონა ლალის ფასია



1

მოდით, ხალხო, ავდგეთ, დავირაზმოთ,  
პოეზიას ნუ მოვაკვლევინებთ!

თუნდაც ჩვენც ჩაგვხოცონ,  
ჩაგვიკეტონ წყალი, შუქები ჩააქრონ,  
ჩაგვიხერგონ ხეობები კერძო კაშხალებით,  
ურჩხულელებით სახლები თავზე დაგვაყენონ,  
გააძვირონ, სანამლავი ჩაყარონ,  
წაგვართვან ხალისი, სიხარული დაგვაკარგინონ,  
პოეზიას ნუ მოვაკვლევინებთ!

ყველა შეიძლება იყოს მართალი,  
მაგრამ ძალაუფლებისთვის მებრძოლი  
ვერასოდეს იქნება მართალი!

მოდით, ხალხო, პოეზიას ნუ მოვაკვლევინებთ!

პოეზიის მკვლელი ჩვენზეც არ იტყვის უარს,  
ლეგიონებია, ჩვენ კი ვართ ცოტანი,  
მაგრამ გაზაფხულია, ალუბალი დამწიფდა,  
მოდით, ხალხო,  
უბრალო ხალხო, ჩემსავით წბილო,  
პოეზიას ნუ მოვაკვლევინებთ!

ერთი პეშვი ალუბალი თავის წონა ლალის ფასია.

2

ცუდია, რომ ლექსის სიტყვა პეშვში არ ეტევა.  
თუმცა ძველ კაცს მარტო პეშვი ჰქონდა რამის დასამალად.

შექსპირსაც კი სწორად ვერ ნაიკითხავ,  
თუ არა ხარ პოეზიას შეპირებული.  
ფიროსმანსაც სწორად ვერ დაინახავ,  
თუ არა ხარ მხატვრობასთან შეპირებული.  
და ადამიანიც საბრალოა,  
ყველაფერთან საზომად რომ სიყვარული აქვს.

3

კაცის პეშვი ლუკმის საზომია.  
დახედე პეშვს და იმხელა პური მოიტეხე,  
უფრო დიდი ხელში გამოჩნდება,  
დაინახავს მშიერი, ნერწყვი მოადგება —  
ადამიანი ხომ დანახვის ხატია!

ვიღაც მშიერი ასეთმა ნერწყვმა კიდევაც დააღრჩო,  
თქვეს — სანყალმა, დაისვენაო,  
მორჩა ლუკმათ-მკრეფელობასო,  
მათხოვარა პეშვით სხვის კარზე ყუდებას!

ერთი პეშვი ალუბალი თავის წონა ლალის ფასია.

ერთი პეშვი საიდუმლოც საკმარისია.  
და როგორი ჯამივით მოქნილია წყაროს ნაკადისთვის?

ღმერთმა სამი პეშვი წყალი დალოცა ადამიანისთვის!

პეშვი სანყაოა ჩიტების მარცვლისთვის,  
ლეკვის დრუნჩისთვის,  
ქალის მრავალ ადგილებისთვის...

4

პეშვი სულ ახლავს ადამიანს თავის საზომში,  
წვიმები მორჩა, მზეებია, გათბი, გამოშრი,

ერთი პეშვი ალუბალი თავის წონა ლალის ფასია.

5  
მიხვალ ბიბლიოთეკაში, მოიკითხავ წიგნს და, არა აქვთ,  
— გაგიხარდება?  
მიხვალ ხალხში, მოიკითხავ კაცს და აღარ არის.

ერთი პეშვი ალუბალი თავის წონა ლალის ფასია.

კაცს თავისი სინდისის მეტი არაფერი გამოადგება —  
აქაც იყოს, იქაც წავიდეს...

ერთი პეშვი ალუბალი თავის წონა ლალის ფასია.

IV-V

„პასტა“



რომ გაგმართლებოდა და სამოცი წლის წინ მუშაობდა ბაღში მონყობილ ამერიკულ გამოფენაზე მოხვედრილიყავი გემბანივით განიერ, მოვარდისფრო ავტომობილ „შევროლესთან“ ერთად, რომელსაც ყველა დამთვალეირებელი „შევროლეტად“ მოიხსენიებდა, აუცილებლად ნახავდი მასზე არანაკლებ ფანტასტიკურ ნივთს — ბურთულიან ავტოკალამს.

გამოფენაზე ნამყოფები ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევდნენ, „შევროლეტზე“ ჰყვებოდნენ, მთელი კორპუსი პლასტიკის აქვს, ოღონდ ისეთის, ლითონზე მტკიცე რომ არისო, ხოლო კალმისტარზე კი ამბობდნენ, ბურთულიანი იმიტომ ჰქვია, რომ კალმის წვერზე პანანინა ბურთულა აქვს დამაგრებული, რომელიც წერის დროს დაგორავს და კვალს ტოვებსო.

სამი-ოთხი წლის შემდეგ ჯადოსნური კალმისტარების გაყიდვა ჩვენთანაც დაიწყეს და ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე გაჩნდა ჯიხურები, სადაც ათ კაპიკად ჩვეულებრივისგან განსხვავებული ბლანტი მელნით იმ ღეროების შევსება შეიძლებოდა, რომლებიც ნამის წვეთებისტოლა ბურთულებით იყვნენ დაბოლოებული.

სკოლაში ასეთი კალმებით წერას გვიშლიდნენ. მასწავლებლები ირწმუნებოდნენ, მათი გამოყენება კალიგრაფიას აფუჭებსო და მოითხოვდნენ ხისტარის კალმისტარებით და ლურჯოლიანი სამელნეებით გვეგარებებოდა ძველბურად.

მოგვიანებით, სიტყვა „ბურთულიანი“ ახალმა სახელმა — „პასტამ“ — ჩაანაცვლა. „პასტაში“ ის ბლანტი სითხე იგულისხმებოდა, რომლითაც ღეროს ავსებდნენ. „ყოვლისმცოდნე“ ჭკუის დამრიგებელთა აზრით, „პასტის“ ხმარება მარტო კალიგრაფიას არ უქმნობდა საფრთხეს, ის შეიძლება პირველი ნაბიჯი გამხდარიყო მოლიპულ გზაზე, რომელიც კევ „WRIGLEY'S“ ღეჭვით, თმის მოზრდით და იმ მუსიკოსების მოსმენით სრულდებოდა, რომლებიც სცენაზე ხტოდნენ და უდიერად ექცეოდნენ ინსტრუმენტებს.

ვინ როგორ იქცეოდა კონცერტის დროს ეგზალტირებული აუდიტორიის წინაშე, კაპიტალისტური კულტურის მამხილებელ კინოჟურნალისტებში გვაჩვენებდნენ. ელვის სისწრაფით მქროლავ კადრებში ყველაზე ხშირად გიტარით ხელში მორბენალი ჩაკ ბერი და პერანგის სახელოებაკაპინებული, ფორტეპიანოზე ფეხმოდებული ჯერი ლი ლუისი ჩანდნენ...

მოლიპულ გზაზე შესაძლოა უარესიც მომხდარიყო, მაგალითად — ნაგეკითხა „ვილაჯ“ ამერიკელი მწერლის მოთხრობა და ისეთნაირადვე მოგონებოდა მისი მთავარი გმირი, ერთი კალაპოტიდან ამოვარდნილი კაცი, გამოსწორებას რომ არ ექვემდებარებოდა, როგორც ამ მოთხრობის სხვა გმირს — შენხელა, შენსავით ბურთაობის მოყვარულ ბიჭუნას...

\*\*\*

მუშაობდა ბაღში მონყობილ გამოფენაზე ნანახ ახალ საწერ მონყობილობას „BIRO“-დ მოიხსენიებდნენ თურმე იმ დროს მისი გამომგონებლის, უნგრელ ჟურნალისტ ლასლო ბიროს პატივსაცემად. სამშობლოდან არგენტინაში გადახვეწილ კაცს იმის მერე დაუწყია ფიქრი არსებულის შეცვლასა და გაუმჯობესებაზე, როცა გვარიანად გაბეზრებულა თავისი ავტოკალმიდან გაჟონილი მელნით თითებისა და ტანსაცმლის დასვრით.

ამას მაშინ ვერ შევიტყობდით, რადგან გარდა იმისა, რომ ინგლისური ცოტა ვინ-

ზაალ სამადაშვილი

მოკლედ და მარტივად

მემ იცოდა სამოცი წლის წინანდელ თბილისში, დამთვალეირებლებს აკრძალული ჰქონდათ შეკითხვების დასმა გამოფენის მასპინძლებისთვის...

დიუმას კლუბი



მინც სათავგადასავლო წიგნების კითხვით დაიწყო ლიტერატურასთან ამხანაგობა და დიდი ხანია, თვალს ალარ გადაუვლია რომანებისთვის, საუკუნუნახვერის წინ გაგრძელებებით რომ იბეჭდებოდა სადამოს გაზეთებში, მას, ამ ტომის ხელში აღებით, ენით აუნერგელი სიამოვნება ელის ოდინდელ, თითქმის მივიწყებულ სამყაროში გადაბარგებით და, იმავდროულად, სრულიად ახალ, თავბრუდამხვევ ფაქტურაში ჩართვით.


ესპანელი მწერლის, არტურო პერეს-რევერტეს „დიუმას კლუბი“ გახლავთ მოგზაურობა წიგნებზე მონადირე კაცისა, სახელად ლუკას კორსოსი, რომელსაც ორი დავალება აქვს შესასრულებელი — „სამი მუშკეტერის“ ერთ-ერთი თავის ავტორისეული ხელნაწერის და მეჩვიდმეტე საუკუნის ვენეციელი მესტამბის მიერ გამოცემული წიგნის ნამდვილობის დადგენა.

ცხადია, წარმოსახვითია ეს მოგზაურობა, მაგრამ მისი დასრულების, რომანის ბოლო გვერდის გადახვეწვის, შემდეგ მკითხველს უნდება განცდა, რომ ყოველივე, რაც წაიკითხა, მართლა გადახდა თავს და ჰგონია, რომ თავად მოიარა მადრიდის, ტოლედოს, პარიზის, სინტრას, მენგის მდიდრული ბიბლიოთეკები, პირქუში სასახლეები, საამკინძაო სახელოსნოები, აყაყანებული ბარები, გაიცილა და ერთიმეორის მიყოლებით უსმინა სასურველი გამოცემის მოსაპოვებლად ყველაფერზე ნამსვლელ ბიბლიოფილებს, ანგარებიან ბუკინისტებს, ძველი გამოცემების უზადლო რესტავრატორებს და, რაც მთავარია, ფარდა ახადა ერთმანეთში გადახლართულ, იდუმალებით მოცულ ორ ამბავს.

ნიგნი

დავჰსურებ ამ წიგნს და მეჩვენება, რომ ის თავის ხელით „გაკეთა“ ავტორმა, რეზო გაბრიაძემ.

იშოვა სადღაც ერთი რულონი სიფრიფანა ქალადი, დაჭრა მომცრო ზომის კვადრატებად, დაანყო ერთმანეთზე სამას ცალზე ცოტა მეტი, მიუჯდა მერე საბეჭდ მანქანას, სავარაუდოდ, მრავალნაცად „რემინგტონს“, აკაკუნა თითებით თეთრი, მავასობიანი ლილაკები კაი ხანს, შეავსო ყველა ფურცელი მორუხო სტრიქონებით, არმიებს ნახატებიც დაურთო შავი ტუპით, აკინძა მერე ისინი, შემოავლო დერმატინგაკარული მუყაო,



სილამაზისთვის თავისი ნახატი დაანება გარეკანს და ამოტვიფრასავით სახელი და გვარი.

ჯადოსნური გამოვიდა ნიგნი, იმ ჯადოსნური ყუთის მსგავსი, რომ გახსნი და ზღაპრული სამყარო ამოფრინდება იქიდან, ერთიმეორეზე უჩვეულო, მოულოდნელი, დაუჯერებელი ამბებითა და ხმებით.

მის მკითხველს, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, გაუჩნდება განცდა, რომ შეხვდა მწერალს, რომელსაც ყველაფრის, პირქუში ეპოქის მკაცრი რეალობისა კი, ზღაპრად ქცევა შეუძლია.

და იგი მისი პერსონაჟებით, ერთაზ ბრეგადით, მარტოკაც ადრახინათი, გზიდან გადასული ორთქლმავლებით — ერთმონათი და რამონათი, „სამაკატკაზე“ შემდგარი ბიჭუნა ვარლამით მოხიბლული, დასევდიანებული, ღრმად ჩაფიქრებული და იმავდროულად გახალისებული, აუცილებლად გადააკეთებს ერთ ცნობილ ფრანს და იტყვის:

„არსად ისე არ ჰყვებიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...“

ლექსივით მოყოლილი

იყო კაცი, რომელსაც ხშირად ხედავდნენ ერთ პატარა ქუჩაზე, ის ყოველდღე, კვირის გარდა, მიუყვებოდა ხოლმე ტროტუარს, მძიმედ მიაბიჯებდა, თავდახრილი, დამსკდარ ასფალტს დაჰყურებდა, იმქუჩელები, დიდები და პატარები, თავიანთ ჭიშკრებთან მდგარნი,

ესალმებოდნენ მას, უმეტესობამ იცოდა, რომ ის ბიბლიოთეკაში მუშაობდა, რომელიც მათი ქუჩის ბოლოში იდგა, რომ ის დაუზარებლად ურჩევდა ნასაკითხ წიგნებს ყველას,

ვისაც ფეხი შეუცდებოდა იქ, ერთხელაც არ გამოჩნდა ეს კაცი ქუჩაზე, არ ჩაუარა ჩვეული ნაბიჯით ხეებს, კედლებს, ჭიშკრებს, მეორე, მესამე, მეოთხე დღესაც რომ ვერ მოჰკრეს თვალი, ალაპარაკდნენ ჭიშკრებთან მდგომები, ერთმა თქვა,

შეებულელებმა გავიდა ალბათო. მეორემ, შეუძლოდ ხომ არ არისო? მესამემ,

ხომ არ დაითხოვეს სამსახურიდანო? გაუჩინარებიდან ერთი თვის თავზე ბიბლიოთეკას მიაშურეს ყველაზე ცნობისმოყვარეებმა, სამკითხველო დარბაზში დიდი ფოტო დახვდათ მისი, გარდაცვლილიყო, გულეები დაწყდათ და

მღუმარედ გამოუყვინენ ქუჩას თავ-თავიანთი ჭიშკრებისაკენ, თურემ მწერალიც ყოფილა, იქ უთხრეს, ძველი გამოცემების სურნელებით გაჟღენთილ შენობაში, გავრცელდა ეს ამბავი ქუჩაზე — გარდაცვალების და მწერლობის, დანაწევრებით გადააქნია თავი ყველამ, ერთეულეებმა ნიგნი მოიძიეს მისი,

ერთადერთი, ორასგვერდიანი, ოდესღაც გამოცემული კრებული, მოთხრობების, მოთხრობები ძალიან ჰგავდნენ ავტორს, ისინი თავდახრილები

შემოდოდნენ მესხიერებაში და ძალდაუტანებლად იკავებდნენ ყიჟინითა და ფეიერვერკებით შემოსულთა ადგილს,

ნიგნი თითო-ოროლათა შორის გადადიოდა ხელიდან ხელში და ყოველი ნაკითხვის შემდეგ, ღამ-ღამობით, ჯერ ქუჩაზე და შემდეგ ბიბლიოთეკაში ჩნდებოდა აჩრდილი კაცისა, რომელსაც ველარც თვალს აყოლებდა და ველარც ესალმებოდა ვერავინ, მთვარე ხედავდა მარტო, მის მკრთალ შუქზე

გადაადგილდებოდა კედლების გასწვრივ, რომლებიც აგურებისა და ნიგნებისგან იყო აღმართული...

ორი მოთხრობა

გურამ დოჩანაშვილის „მცირე პროზაზე“



„იოჰან სებასტიან ბახი“

ვისაც კლასიკური მუსიკა და ეგრეთ წოდებული „მცირე პროზა“ უყვარს, აუცილებლად უნდა წაიკითხოს „იოჰან სებასტიან ბახი“ — ამბავი სოფლიად მამიდასთან საცხოვრებლად ჩასული გოგონაზე, მის ცოლად მოყვანის მოსურნე პოდპოლკოვნიკზე და მოხუც ქალბატონზე, რომელიც იგრძნობს თუ არა მიტოვების, ძმისშვილის გარეშე დარჩენის, საშიშროებას, შემნედ და მშველელად დიდ გერმანულ კომპოზიტორს იხმობს...

და მას შემდეგ, რაც სამეჯლისო ცეკვეების, რომანსებისა და რადოსადგურ „მაიაკის“ მოყვარული სამხედრო ფირსაკრავის მეშვეობით მოუსმენს მას, ვინც „სრულიად სამყარო შეისუნთქა და ჩვენდა წყალობად ამოისუნთქა, გვიბოძა მერე“ — განზრახვაზე ხელს აიღებს და დამორცხებული გამოაბიჯებს იმ სივრციდან, სადაც მოულოდნელად აღმოჩნდა ქუჩაში თვალდადგმულ გოგონას ადევნებული...

„ნაბიჯი“

ძველი მოთხრობაა, გასული საუკუნის სამოციან წლებში დაწერილი — „ნაბიჯი“ ჰქვია.

მიყვარს ეს მოთხრობა და ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ მისი გმირის — გოგიას მშობლიური გარემო და თავსგადახდენილი ამბები ძალიან ჰგავს ჩემსას, ბავშვობის და ჭაბუკობის დროინდელს.

კერძოდ: გოგიას ბინის მსგავსად, ჩვენ ბინასაც ჩუღურეთში ერთმანეთს გადაბმულმილებიანი თუნუქის ლუმელი ათობდა...

პურის საყიდლად მეც მგზავნიდა დედა და უკანა გზაზე მეც ვატყვდი ხოლმე დაბრანულ ყუას სურნელოვან ცხელ შოთს...

სკოლაში სწავლისას მეც აბონემენტით დავდიოდი თეატრში და „მარჯანიშვილში“ ნანახ სპექტაკლებს შორის ყველაზე მეტად სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“ მომწონდა...

ჰიდროთორაქსი მეც დამიდგინეს ექიმებმა გოგიასავით და სითხე მეც ამომიღეს პლევრიდან მსხვილი ნემსით...

ერთხანს მეც ვმუშაობდი ლაბორანტად გრძელი დასახელების მქონე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და დავარბენინებ-

დი რაღაც ქალაქებს ოთახებიდან ოთახ-ებში...

პლენარულზე მდებარე კინოთეატრ „ამირანში“ რომ ვერ მოვახერხებდი ხოლმე შესვლას, ხანდახან მეც დოკუმენტური ფილმების ნახვას ვეფერდებოდი „ქრონიკის“ ციციქნა, სულ ცხრარიგან დარბაზში...

თუმცა: გოგიასგან განსხვავებით, აღარ მახსოვს, პირველად რამ განმანყო განვლილი ცხოვრებისთვის თვალის გადასავლელად, რა აღმოვაჩინე მასში ისეთი, რაც მხნობას მომანიჭებდა, როდის დავეჯავჯავრე პირველად საკუთარ თავს და დამთავრდა თუ არა ეს დაჯავჯავრება თუნდაც რამდენიმე წამიანი გამარჯვებით...

იქნებ: გოგიასგან განსხვავებით, რომელსაც მიქელანჯელოზე ნანახმა ფილმმა უბიძგა ამისკენ, მე ამ მოთხრობის წაკითხვამ გამიჩინა ეს სურვილი... არ გამოვირიცხავ...

### უკანასკნელი აბენსერაჟი




ეს მოთხრობა გურამ რჩეულიშვილის საიუბილეო, 1985 წელს გამოცემულ, კრებულში ვნახე პირველად. ის ისეთი ცნობილი არ არის, როგორც „ალავერდობა“ და „ბათარეკა ჭინჭარული“, „უსახლო უფლისციხელი“ და „ნელი ტანგო“, „ირინა“ და ჩემი საყვარელი „ასვლა“.

მოთხრობა აფხაზ ბიჭზეა, გვარად აჩბაზე, თავადების შთამომავალზე, რომელიც საქონელს უფლის მთაში და ზღვის სანაპიროზე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ჩამოდის. ერთ-ერთი ჩამოსვლის ამბავს აღწერს გურამი — მონატრებული ლანდშაფტით რომ ტკბება ბიჭი, იქაურობისთვის შეუფერებელი, „თეთრად შეთხიპნილი“ სახლები რომ ხვდება თვალში, ახალგაზრდა ქალს რომ გამოელაპარაკება და შეხვედრას დაუთქვამს საღამოს, იქამდე დუქანში რომ შედის, შამპანურს რომ სვამს მამის-ტოლა მეზუფეტესთან ერთად, გარეთ გასული რომ დაინახავს, როგორ ავინებენ და საცემად იწვევენ მასთან შესახვედრად მისულ ქალზე ვიღაც რუსის კაცები, რომ მივა და მუშტს რომ გლიჯავს ერთს, დანარჩენები რომ წაესვიან და თავის ყამას რომ ინატრებს ამ დროს...

1956 წელს დაწერილ მოთხრობას „უკანასკნელი აბენსერაჟი“ ჰქვია. ვინც დაინტერესდება ამ სახელით, გაარკვევს მის წარმომავლობას, შეიტყობს, რომ იმავე სახელის მქონე პროზაული ტექსტი ორი საუკუნის წინანდელ ფრანგ დიპლომატსა და მწერალს — ფრანსუა რენე შატობრიანს ეკუთვნის. ცოტა არ იყოს სენტიმენტალური ბალადა ესპანეთიდან განდევნილ მავრთა სახელობანი გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის აბენ ჰამეტ აბენსერაჟისა და უმშვენიერესი ესპანელი ასულის ბლანკა დე ბივარის უიღბლო სიყვარულზეა...

იმის ახსნა, თუ რატომ დაარქვა სწორედ ეს და არა სხვა სახელი თავის მოთხრობას გურამ რჩეულიშვილმა, ალბათ ის არის, რომ მძლავრი ვნებებით დამუხტული, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მოსიარულე ადამიანები, რომელ ეპოქაშიც არ უნდა უწევდეთ ცხოვრება, ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს და მათი მოხსენიება ზედსართავივით საერთო სახელით, ამ შემთხვევაში გვართ — სახვებით ბუნებრივია.

### ჟურნალისტი ბაბო



ვკითხულობ ამ წიგნს, წერილებისა და სტატიების კრებულს და მეჩვენება, რომ დროშიც გადავადგილდები და სივრცეშიც...


რა მქვია, არ ვიცი, შესაძლოა, ხენარო, ანდა პაბლო, ან სულაც ტეოფილო, გასული საუკუნის ოთხმოცდამეორე წლების მადრიდულ კაფეში ვზივარ, ყავას ვსვამ და წინ ყოველკვირეული „ელ პაისი“ მიდევს. ჟურნალი იმ გვერდზე მაქვს გადაშლილი, სადაც კორესპონდენტი მარკესი ბერ უცნაურ ამბავს ჰყვება.

ერთ-ერთი ჰონდურასის მმართველ მორასანის ძეგლის ისტორია... თურმე ნუ იტყვი, ქანდაკება ტეგუსიგალპაში, რომლის კვარცხლბეკზე მისი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მარშალ ნეისია და ლონდონის ძველმანების ბაზრობაზე შექმნილი იაფადა...

მეორე — ჰაიტის დიქტატორ დიუგალიესი, რომელიც შავ ძალებს ერჩოდა თურმე, აქაოდა, ერთმა პოლიტიკურმა მონინალმდევამ იმიტომ გამასწრო ქვეყნიდან, რომ შავ ძალებს გადაიქცაო...

მე უფრო ის პუბლიკაციები მიზიდავს, რომლებსაც „მარტოობის ასი წლის ავტორი“ ლიტერატურასა და მწერლებს უძღვნის. მაგალითად, ბორხესს, რომელსაც მისი მონაყოლის მიხედვით, გენერალ პინჩეტთან შეხვედრის გამო ნობელის პრემიაზე უთხრეს უარი და მის შემოქმედებას ტრინიდადელი მწერლის, ნაიპოლის პროზა ამჯობინეს...

### მღვთარი



წიგნებზე ლაპარაკის დროს კინომექანიკოსად წარმოვიდგენ ხოლმე თავს, ამ საქმეში დაბერებულ კაცად, რომელიც ფირის ვეებერთელა ხეულას, ამოღებულს თუნუქის მრგვალი ყუთიდან, საპროექციო აპარატის მოზრდილ „ბაბინაზე“ ამარებს, ლილაკს თითს აჭერს და პატარა, ოთხკუთხა ლიბის გავლით, სინათლის ჭაყის მაყურებლებით სავსე დარბაზში, ჭყრიდან დაშვებული თეთრი ეკრანის კენ უშვებს...

ვისაც ჯაზი უყვარს, ჩარლი პარკერისთვის მოუსმენია და ამ თამაშში ამყვება, არ გაუჭირდება ხულიო კორტასარის მოთხრობის — „მდევრის“ კითხვისას კინოთეატრის ჩაბნელებულ დარბაზში მჯდო-

მად იგრძნოს თავი და თვალი გაადევნოს მუსიკოსის ცხოვრების სხვა მონაკვეთებით გიჟურ, პარიზულ ეპიზოდს. უყუროს, როგორ ახნევს ჯონ კარტერი ხმის ჩამწერი სტუდიის იატაკზე ქუჩიდან შემოტანილ ფოთლებს მანამდე, სანამ განუმეორებლად ჩაბერავს ალტ-საქსოფონში და უსმინოს განსჯას იმის შესახებ, თუ რაოდენ განსხვავებულად მიედინება დრო, როგორ იკუმშება, როგორ ეტევა წუთნახევარში თხუთმეტი წუთი მამინ, როცა ის უკრავს...

### ბიბლიოთეკის აპოლოგია



მემომბრის შვილს წიგნებით სავსე მუყაოს ყუთი აჰქონდა თურმე შინ. მეზობელი შეხვედრია კიბეზე და უკითხავს, რა მიგაქვს ამსიმიძიმეო. პასუხი რომ მოუსმენია, წიგნებით, გაცინებია, სმარტფონი ამოულია ჯიბიდან და უთქვამს, მსოფლიოს ნებისმიერი ბიბლიოთეკა შემიძლია, ჩამოვტვირთო ამაში, რას ნვალობ, რა თაროების მესხება ავითყვადო. ბიჭი შემეცხარა და ვერაფერი უთქვამს მოულოდნელად აღმოცენებული მრჩევლისთვის.

მე უნდა ვყოლოდი გვერდით, ნამდვილად არ გამიჭირდებოდა პასუხის გაცემა, ვეცყოდი, მარტო ბიბლიოთეკის კი არა, ყველაზე სახელგანთქმული მუზეუმის უძვირფასესი კოლექციის განთავსებაც შეგიძლიათ კომპიუტერის მეხსიერებაში, მაგრამ ეს ხომ არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ამ კოლექციის მფლობელი გახდით, რომ ერთი ნახატს მაინც დაკიდებთ თქვენი ბინის კედელზე-მეთქი.

რამდენიმე ათასიანი ტირაჟით გამოცემული წიგნის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცევას დიდი დრო არ ჭირდება. ის, რაც ოცდაათი-ორმოცი წლის წინ დახლებზე იდო გასაყიდად, აღარაფერი რომ არ ვთქვათ საუკუნოვან „დაძველებზე“, დღეს უკვე სანთლით საძებნელია და, შესაძლოა, უფრო მძლავრი შუქის გამოყენებითაც ვერ მიაგნო ბუკინისტებთან. ეს მხოლოდ კარგ წიგნებს — პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც შედეგებს — არ ეხება, რადგან უხვირო, ცუდი წიგნების მოძიების აუცილებლობა ჩნდება ხანდახან... რაღაცის გამოსაკვლევად, რაიმეს აღმოსაჩენად, ვინმეს დასარწმუნებლად...

ასე რომ, წიგნებისა და ნახატების ფლობის დაკავშირება ერთმანეთთან სულაც არ მგონია ჩემ — ნამდვილ, ხელშესახებ ბიბლიოთეკების აპოლოგეტის — უცნაურ, ყავლგასულ ახირობად.

### მემოთხრობა PAPA



ჩემი საყვარელი მწერლების ერთი ნაწილი ძველი, ჭკვიანი წიგნების, იდუმალეზით მოცული დიადი ბიბლიოთეკების თანმდევი სულელები, მათი ღურათხატები არიან.

მეორე ნაწილი, და მათ შორის ერთი გამორჩეული კი, ჭურვების გრუხუნის, სისხლით მორწყული ქვიშიანი არენების, ოკეანის ტალღებში მონავარდე მარლინების, ქვაფენილიანი ქუჩებისა და მოედნების, სუფთა და ნათელი კაფეების, სპილოების მსგავსი თემების, ცეცხლოვანი სასმელებ-

ის პირმოა... რომელსაც ვინ მოთვლის, რამდენი ხანი დასაძახდნენ დიდი და მცირე სახელის მქონე მწერლები, მოთხრობების წერა მაგრად გამოსდის, რომანებისა — ვერაო...

კიდევ კარგი, რომ რომანებიც დაწერა და მოთხრობებით არ შემოიფარგლა, თორემ დარწმუნებული ვარ, ეს მოსაყვედურე ხალხი უეჭველად იტყოდა, „მასშტაბურ ნაწარმოებზე უარის თქმით, ერნესტ ჰემინგუემ თავის უზარმაზარ შესაძლებლობებს ფრთები შეაკვეცაო“...

ისე კი, საქვეყნოდ აღიარებული რომანისტების მიერ დაწერილი ორი წიგნი, რომელიც გამორჩეულად მომწონს, მოთხრობებისგან შედგება — „დამარცხებლები“ უილიამ ფოლკნერისა და თომას უულფის „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“. „გამორჩეულად“ მოწონება იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც, პირველად ნაკითხვის, ძველი შთაბეჭდილებების ანაბარა არ ვარ დარჩენილი და პერიოდულად ვახსლებ მათ.

პირველ წიგნში იმ ამბავს ვუბრუნდები ხოლმე ყველაზე ხშირად, სამხრეთელი ბიჭუნები, ბაიარდი და რინგო, იანკების ოფიცერს რომ ესვრიან თოფს და შიშისგან გულგახეთქილებს, შინ ფართთაფურთხით მიბრუნებულეებს, დიდება რომ დამალავს კაბის კალთის ქვეშ...

მეორეში კი რომანის მთავარი გმირის, მწერალ ჯორჯ ვებერის, ცხოვრების იმ მონაკვეთს, როცა ის ბრუკლინშია დაბინავებული, ლამ-ლამობით მის ქუჩებში დაეხეტება და ერთხელაც ერთი ბანალური სიუჟეტით ფულისა და სახელის მოხვეჭის მოსურნე მიმტანს რომ გადაეყრება რომელიღაც რესტორანში...

### ანა, მელანქტა და ლენა




წლებადღე ზაფხულამდე გეტრუდ სტაინის არაფერი მქონდა ნაკითხული. მის შესახებ ვიცოდი ის, რაც იცის ყველამ, ვისაც „მარტივი დღესასწაული“ ნაუკითხავს, მის ავტორთან, ერნესტ ჰემინგუესთან, ერთად აღმოჩენილა მოდერნიზმის ეპოქის პარიზში, სწვევია ყველაზე ცნობილ ლიტერატურულ სალონს ფლერიუსის ქუჩის 27-ში და მოუსმენია ფრთიანი ფრაზებით გაჯერებული მწერლები მისი მასპინძლის, მედიდური, წარმოსადეგი ქალისგან.

ცხელი ივლისის სამი დღე მოვანდომე მის სტაინის წიგნს — „სამ სიცოცხლეს“ და კითხვას რომ მოვჩრი, ის შთაბეჭდილება გამიმყარდა, რომელიც პირველი მოთხრობის ნაკითხვისთანავე შემეძვრა, მომეჩვენა, რომ ჩემთვის ახალ, მანამდე უცნობ ლიტერატურასთან დავიჭირე საქმე, ისეთთან, რომლის სისადავე არაფრით ჰკავს ამ თვისების მქონე სხვა არაჩვეულებრივი ტექსტებისას.

ამგვარ აზრს თხრობის უცნაური, განსხვავებული მანერა აღმიძრავს, რომელიც პერსონაჟთა პორტრეტების, შეგრძნებების, ფიქრების „მარტივი“ ხერხებით აღწერაზეა დაფუძნებული. ისეთ „მარტივზე“, როგორსაც ბავშვები იყენებენ რაიმე გრძელი, მათთვის მნიშვნელოვანი ამბის მოყვლისას, როცა ისინი მხოლოდ კარგად ნაცნობ სიტყვებს წარმოთქვამენ და მეტი დამაჯერებლობისთვის ხშირად იმეორებენ ერთსა და იმავე პასაჟს.

ასეა თუ ისე, მგონია, რომ გეტრუდ სტაინის სამი მოთხრობის — „კარგი ანას“, „მელანქტას“ და „თვინიერ ლენას“ მთავარი გმირები — ანა ფედერნერი, მელანქტა ჰერბერტი და ლენა მაინცი სამუდამოდ დაიმკვიდრებენ ადგილს ჩემს წარმოსახვით ლიტერატურულ გალერეაში, სადაც ქალთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილები კარმენსა და ემა ბოვარის უკავიათ...



ბესიკ ხარანაული

ღმერთო, არ ააფეთქოს ამ ინტენსივობამ,  
 სიმორეების თავმოყრის სიჭარბემ,  
 როგორც სიხარულმა, ერთში რომ ბევრია,  
 როგორც ბრაზმა, ერთში რომ ბევრია,  
 როგორც მოთმინებამ,  
 გინებამ როგორც იცის აფეთქება.

ერთ კაცში როა სიმორეები,  
 სისხლში როა სიმორეები,  
 და სამყაროც რომ სიმორეებია,  
 ვინ გადააგდო სიმორე პირველმა?  
 ადამ და ევას ძემ,  
 მკვლელმა,  
 საკუთარი თავი გზაზე რომ გააგდო,  
 და ტანჯა სიმორით.

„მგონი, ველარ დავნერ!“ —  
 ყოველ ღამე ასე გავიფიქრებ,  
 ნავალ ძილში, ძილი წამიღებს სიზმარში,  
 ძილი სიმორეების ერთად თავმოყრაა,  
 და, აზრი ფეთქდება მათი სიჭარბისაგან...

გრძნობები — სიმორიდან,  
 სისხლი — მანძილიდან,  
 ინტენსივობამ შეიძლება დაშალოს კაცი.

და გამელვიძება თვითმფრინავის ხმაზე —

ვინა თქვა, რომ კაცი სრულყოფილია,  
 განა ღმერთმა თქვა?

ყველა სიმორემ,  
 ყველა განსხვავებამ,  
 ყველა მანძილმა რომ თავი მოიყაროს,  
 აეროპორტი სიკვდილის კალოს ემსგავსება.

ალარ ვიცი მეტი, ფურცელიც არ მეყო,  
 — ნუ იქნები ისევ ისეთი!

ადრეც გამომიციდია, რომ არ მიჯერებთ,  
 სწორადაც იქცევით,  
 ხალხი ჭკვიანია,  
 შეგხედავენ და შეგაფასებენ:  
 „გათრეული კაცია, მეხუმარე, ყველას რომ ეწყობა,  
 არც რომ ჩაცმა-დახურვას დაგიდევს რამედ,  
 წოლა-ძილისგან ბუმბული აკვრია...“.

ამდენი ძილი იმისთვისაა,  
 კაცი რომ გამოიცვალოს...

**ნათა სხვა მერქვას და არ ვიყო ბესარიონი**

ზოგნი რომ ძალით ქართველობენ,  
 ზოგნიც რცხვენითა...

წამოიმართა ბესარიონი!  
 ეს რუსთაველი, გალაკტიონი,  
 ეს ალაზანი,  
 მტკვარი, რიონი,  
 ამპარტიონი...

კენჭი ყოველთა მათა და ველთა,  
 თესლი ყოველთა ფრინველთა, მხეცთა,  
 ერთიან სახე ყველა ქართველთა,  
 მე შემომხედეთ, სხვას ნუ შეხედავთ!

ზოგნი რომ ძალით ქართველობენ,  
 ზოგნიც რცხვენითა...

წამოიმართა ბესარიონი,  
 გინდ სარიონი,  
 ბაგრატიონი!  
 ჯერეთ ერეკლეს შვილიშვილი,  
 მერე ვაჟასი,  
 რომ მომავალში,  
 ვინმე ქართულ წიგნს რომ გადაშლის,  
 იხილოს სახე  
 აღმართ-დაღმართ კავკასიონის,  
 ყველა ხეობა დაინახოს, მტკვარი, რიონი,  
 ბავშვობასავით ფეხშიშველი კვლავაც იორი,  
 სიკვდილიც ორი, იოლი და არაიოლი,  
 რადგან არ კვდება, ვინც წყალშია, იმის საცერში,  
 ნაუღებელი ოქრო არის, მიუტაცები,  
 ენგურის მტვერი, ცხენის წყლისა, ოქრო რიონის,  
 ბავშვობასავით ფეხშიშველი კვლავაც იორი...

ზოგნი რომ ძალით ქართველობენ,  
 ზოგნიც რცხვენითა...

ნეტავი სენი არ შემყროდა ესე იოლი,  
 ბესარიონი,  
 ამპარტიონი,  
 ჯერეთ ერეკლეს შვილიშვილი,  
 მერე ვაჟასი,  
 რომ მომავალში, ვინმე ქართულ წიგნს რომ გადაშლის,  
 ჰპოვოს ახალი ჰეროიკა, გრძნობა ახალი,  
 სახელი ძველი, რადგან ბევრგან არის ნახალი,

**ნუ იძნეაი ისევ ისეთი**

მართალია, ახლა აღარ ვსვამ,  
 მაგრამ,  
 ფეხისტეხით რომ მიდის ვინმე დილაადრიან,  
 ვიცი, ვინც არის.

— ნუ იქნები ისევ ისეთი!

ეს არ არის დიდად გავრცელებული,  
 რა სენიც მე მჭირს, მაგრამ არც რომ იშვიათია,  
 ყოველ დილას თავს რომ ვეუბნები,  
 — ნუ იქნები ისევ ისეთი!

აზრი ჩქარია,  
 კაცი კი ნელი.

მე რომ მეღვიძება, იმას არ ჰქვია „ადრე“,  
 მე რომ ამ დილას თვითმფრინავის ხმამ გამომალვიძა.

მეუცხოვა, რადგან ვიყავ გადაჩვეული,  
 — აა, ფრენები განახლებულა! —  
 მაუნყა აზრმა.  
 დაიძრება ხალხი კვლავ ერთმანეთისკენ,  
 დაიწყება ანაზღაურება გამოტოვილისა,  
 კალოებივით შეიქნება აეროპორტები,  
 ხალხი ირბენს ისარმიმართულად,  
 ნავლენ, წამოვლენ, შეიქმნება სტუმარ-მასპინძლობა,  
 მაგიდები უკვე გაშლილია,  
 ისტორიული სანახები მტვერს იცილებენ.

თქვენ გაგიგიათ სიტყვა „ხარბი“,  
 სიხარბე თანდაყოლილი სენია ადამიანისა,  
 უნდა კაცს ჩაქუჩით ცემა, მაგრამ ვერ უშველის.

თვალი ხარბია ადამიანისა,  
 გრძნობა ხარბი არის,  
 თოკი გინდა კაცს და შეკვრა თავისა,  
 წამწამების დაბმა,  
 წინ აგება რკინის კედლისა,  
 მაგრამ კაცი ლასტის კარს შეაბამს,  
 რომ დაინახოს.

როგორც უნდა აცდუნებდეს თავისი ხელი,  
 მაინც არ მოიჭრის,  
 როგორც უნდა აცდუნებდეს თავისი თვალი,  
 არ ამოითხრის,  
 რადგან,

გაგონილს კი არ ენდობა კაცი,  
 არამედ, რაც თვალთ ნახა.

ენას მოიძენკავს და ლაპარაკს არ მიატოვებს.

რომ დავდგე და ჩამოვწერო,  
 ქალღი არა მაქვს იმდენი...

ნუ იქნებით ისევ ისეთი!

წყენა მაქვს ერთი დამახსოვრებული,  
 არ მითქვამს ამდენ ხანს, არც ახლა ვიტყვი,  
 წყენას არ დავკარგავ.

სიმორეები საჭიროა, ნუ მივაკერებთ!  
 სიმორეები იცავდა მიწას,  
 როცა ეჭირა ფარგალი ფხიზელ მიწისმზომელს.

სიმორეები თუ ერთში მოექცა,  
 თუკი ერთში კონცენტრირდა განსხვავებები,  
 იფეთქებენ თავის ინტენსივობისგან,  
 სიჭარბისგან ჭკუა აერევათ,  
 და აფეთქდება დედამიწა,  
 როგორც ჩემს მიწიან თავში იფეთქა  
 სიზმრების სიჭარბემ.

— აღსდგა ფრენები! — თითქოს თავს ვახარე,  
 მაგრამ არ ისურვა იგივე მღვიძარმა,  
 თითქოს ვიყავი სიკვდილის მახარობელი.

— ძილი სიმორეების ერთად თავმოყრაა,  
 სახეები, განსხვავებები,  
 ჩვენს სიზმრებში თავს მოიყრიან  
 და ინტენსივობისგან კაცი აფეთქდება.

სიმორე მარტო მანძილში არაა,  
 სიმორეა ყველა სხვადასხვაში,  
 ფერში, ხასიათში,  
 მანძილს დაძლევეს კაცი, მივა მეორესთან  
 და მიუტანს თავის განსხვავებას,  
 რწყილსაც კი მიუყვანს,  
 მაგრამ სიმორე ტანს ექნება დამახსოვრებული,  
 მანძილები შიგნით არ დაიძლევიან.

თვითმფრინავის ხმა ფანჯრიდან:  
 — აღსდგა ფრენები! —  
 კვლავ დაიძლევა სიმორეები,  
 კვლავ განსხვავებულები კონცენტრირდებიან,

ყველა ხეობა დაინახოს, მტკვარი, რიონი, სიკვდილიც შეხვდეს იოლი და არაიოლი... ნეტავ სხვა მერქვას და არ ვიყო — ბესარიონი!

ზოგნი რომ ძალით ქართველობენ, ზოგნიც რცხვენითა...

**ვითომ ვიყოთ სამოთხიდან გამოყრილნი**

*ჩვენმა კაცმა, როცა ვინმეს უხმობს საშველად, იცის, რომ არავის უხმობს. ჩვენმა კაცმა, როცა ღმერთს უხმობს საშველად, იცის, რომ განწირულია.*

— აბა, მოდი, შენ, ჩემო თავო, სხეულში ჩადექ და მოიხედე, ვითომ ვიყოთ სამოთხიდან გამოყრილები.

ვითომ ვიყოთ ძველ როდესაც საუკუნეში, ვითომ ვიყოთ მეფისნულები, ვითომ ნალკოტში, წყლისა პირსა, გადავეყარეთ, შემომხედე და მოგეწონე, შეგხედე და გული შემვარდა, ვიფიქრე-თუ: მწყურის ცნობა მე ამ კაცისა. გამოვექცევივარ ჩემს სამეფოს, მსურს, დავისვენო ბებრებისთვის თავისდაკვრისგან, წაგებულები დროს კბილებით რომ ჩაფრენიან, როგორც მტილიდან გამოდევნილი მერუყე ძროხა, თან ჯოხს რომ იცდენს და თანაც რომ ვერ წყდება ბალახს. ბებერი მიჯნურობის მზის ჩასვლას ჩივის, ახალგაზრდა კი ნუთისოფლის მზის ჩასვენებას.

— აბა, მოდი, შენ, ჩემო თავო, სიზმარი, რაგინდ ტკბილზე-ტკბილი, ბოლოს გამცირებს. ყოველ სიტყვაზე კაცმა უნდა ენა ნაიკვეცოს, ყოველი მეორე ნაბიჯი სასწორებელია. კაცი თამაშს რომ გამართავს გამთენიისას, გამოვა ვილაც და თვალთ ნაუხდენს, დაეშლება კაცს თავისი ნაოფლი, დარბაზი, სცენა, ზედ არტისტები, მთელი ნაბრძოლი ნაცრად ექცევა... როცა ერთობი რაიმეთი, ზედ არ დაერთო... შემხედე და, ვიგრძენ, მოგეწონე, შეგხედე და, გულში ჩამესახე, ვთქვი:

— ვპოვე კაცი! ნიჭით მაძლარ კაცს ერთი სიტყვით გამოაგდებ, რაგინდ მტილიდან, ნიჭით მშიერს კი, ათი სახრე რომ დააღწეო, ვითომ არაფერი.

დილის კაკაომდე წვალება ბევრია, თითქოს იყოს სხვისი ნასუფრალი. წესრიგი მინდა, სხვა რა მაკლია! ჩემი არეული თავის წესრიგი. თორემ გარშემო ბევრი წესი თავისით ქრება, მაგალითად, ოთხსტრიქონიანი სტროფები ლექსისა. რადგან, როგორც კი გაამწკრივებს სტრიქონებს კაცი, მაშინვე იკითხავს — თუ არის მართალი? განა რასა ჰგავს რაზმივით მწყობრი სტრიქონები არეულ კაცისთვის? ვისაც წესრიგი არა ხიბლავს, ის მარტო იბრძვის, არავის არ ჰგავს, მეორესაც კი. ყველა გიჟო, თქვენს წესზედამც დაილოცებით! თორემ, ხომ ხედავთ, კაცი მიჰყვა საერთო წესრიგს, მოიკითხა თავი მასში და არსად იყო. ასე რომ, კაცო, ხორციელო, გაუფრთხილდი შენს ხორციელ თავს და საერთოში ნუ ამყოფებ, არამედ, ამყოფე საკუთარ წესრიგში, და არ უკიჟინო, რომ არეულია. სიზარმაცე ილღიდან თავს ამოგიყოფს, თუ არ გახსოვს შენი წესრიგი. გვრიტზე უფრო გამოყვანილი მაინც ვერ იქნები, თავიც რომ მოიკლა.

ადამიანი დაბნეულია, როცა არ თამაშობს, რადგან, კეთილშობილიც ისაა, ვინც შეჯერდა თვალთმაქცობაში. ისეთ ძალას ვეძებ, რომ იყოს სრულიად გრძნობების წამლები.

რაც უღვთო კითხვები აღარ გაისმის, ბოროტება შევიდა ღვთიანში, რაც აღმსარებლებს გარედან საფრთხე აღარა აქვთ, სწეულებამ მონახა შიგნით, რაც მეტია უსინდისობა, მით ხშირია სინდისის სახელი, რაც იყო, ის აღარ არის, გზაგასაყარია — აღარც ძველი, აღარც ახალი... ძველი რომ აღარ სჯის, ახალიც იმიტომ აღარ ვითარდება, იყო დრო, ხალხს ერთი არ სწამდა, ახლა არ სწამს აღარაფერი, არ არსებობს კანონი, რომელშიც ეჭვი არ იყოს. ნუ მაშინებთ მაღალი სახლებით, სულ თავიდან დაბლა შენდებოდა,

მაღალი — დაბლა დაცემას აღვიძებს, იცის კაცმა, ყველაფერი მაღლიდან ცვივა. მარტო ყნოსვა არ გეყოფა, თუკი ლექსს ეძებ, მარტო თვალთ დანახული გაგიგორდება, ყურით მოსმენილი ძაფივით გახდება, გონება ნელა წამოვა, გულმა რა გიყოს, ქვეზე რომ მოხტის.

— ჰეი, ჩემო თავო, ტახტქვეშ ფანქარი შემვივარდა, ვერ მივწვდენილვარ! არც ფერი გაქვს, არც რჯული გაქვს, არც მიმდევრობა, არც მაღალი ხარ, არც დაბალი, არც სულელი, არც ჭკვიანი, არცერთნაირი...

მითხარ, ვინა ხარ? და მეც გეტყვი, ვისგან გეხვეწები... კაცი ერთი აღვარცოფებულ მდინარეში

ლოდს შერჩენოდა, გარშემო მთის ქანდარებიდან ბევრი ჰყავდა მაყურებელი, ირგვლივ ამინდის და მდინარის მუსიკა იკვროდა...

— ძმებო, ვკვდები, ვერ მიშველითა? — ძალიან ძაგძაგებდა ხეობის გარემო, ძალიან ანუხებდა ბედკრულის ძახილი, და, ბრძენიც თავს ხომ ვერ დამალავდა, ანუ, ვინც ერთი კაცის სიკვდილი არჩია ხალხის შეწუხებას, ვინც თავისმა სიბრძნემ მიწაზე დახარა, თავისმა თვალმა ქვა მოაძებნინა, თავისმა გულმა დაამიზნებინა, ძალამ ატყორცნინა, მოსდო კინკრისოში და განსაცდელისგან დაიხსნა კაცი და ხეობის ყურმაც დაისვენა და კლდეების მაყურებლებიც სახლებში წავიდნენ... კაცმა სახელი გაისროლა, სრულად გატყორცნა, გადაკარგა, მიწას მოაკლო ნაკლი — კაცს დარდზე რომ დაეძინება, ისეთსავე წუთებს უთვლიან.

თავს ვიბრუნებ მე და დედაჩემს ვუღიმი, მწარე გემოსი იყო ჩემი დილის კაკაო თუ ზედმეტ ტკბილისა?

ის იყო, რაც დილამ შემომიგდა. აბა, დილას მე ვერ ვაკონტროლებ, როგორც სიმარტოვე არ შემომიღია, ვზივარ და ფანჯრიდან მანვდიან წყალობას, ჩემი მხოლოდ სიცოცხლე მახლავს, მთელ სამყაროში არავითარი, სიცოცხლის გარდა, საკუთრება არ გამაჩნია, რაც ტანთ მაცვია, სულ სხვის ტანზე არის გამოცდილი, რაც ფიქრები მაქვს, რა ვისია, ვერ გამოგია, არწივი რომ კურდღელს ძიძგნის, მხრებს და ფრთებს ახურავს — არა ხალხური პოეზიის მოსაწონებლად, არამედ, რომ ცაში გაფენილ ყვავ-ყორნებს ამცნოს, რომ მისია ეს კუთვნილება — კურდღელი იქნება თუ ვირის ბაყალიკა...

და, ორფეხა ყვავ-ყორნებმაც უნდა გაიგონ, თუ რას ნიშნავს საკუთარი ნანადირევი — აზრი, ფიქრი, თვალი, ყური — ყველაფერი კაცისა არის.

ჩქარობს კაცი საქმე მოათავოს, მოასწროს, ვიდრე ღმერთი დაინახავს. ჩქარობს კაცი, რომ მალე იფიქროს, ვიდრე ღმერთი გაიგებს. ადამიანს სულ აქვს ისასამალი, არ არის ისე, რომ ჩონჩხგარეთ იყოს, გალიასავით ეკიდოს ველზე და გული ეჯდეს შიგ იადონივით. განა იმან ააშენა, ვინც თქვა — ქალაქი! გრძელი გზა კაცისა ქალაქის ქუჩებში: — ვიდრე ღმერთი გაიგებს. ფანჯარა ღიაა, კაცი იყურება, — ვიდრე ღმერთი გაიგებს! ოცდაერთი საუკუნეა —

დაუმატე ამას კიდევ ბევრი ათასი, ადამიანი იძახის შველას. სახელი არ იცის და, იძახის — ღმერთი. არ იცის, რა ხმოვნები და თანხმოვნებია, რომ სახელი იყოს იმისი — ვისაც შველას სთხოვს. კრებს ხმოვნებს, თანხმოვნებს, რბილ ენაზეც ისე, როგორც უხეშზე და ღმერთს ეძახის. „— ღმერთო, დამიფარე სერიოზულისგან!“ — ამ ვედრებით ვითომ ღმერთს ვუხმობ? აღვარცოფებულ მდინარეში ამოშვერილ ლოდზე რომ ვეკიდო, ჩემი ხვეწნა იგივე იქნება, თუ მექნება განწირულება ათასჯერ მეტი? ღმერთო, კაცს ისე ნუ განირავ, რომ მართალი იყოს თავის ვედრებაში! ღმერთო, მარგალიტივით თუ მიპოვნი და ხელში ამიღებ, მაშინ ხალხში ნულა გადაამაგდებ, მიჯობს, რიყეზე დაგეფანტო, სადაც ობოლს დაჰყავს ხბორები. საერთოდ კი, მარგალიტი სჯობია, რომ სულ დაიკარგოს,

დარჩებოდა კაცი თავის წინ — შედარებები და მეტაფორები რომ გადაუყარო, სახელი რომ დაავიწყო, დარჩებოდა კაცი თავის წინ. წარღვნა იყო, ჩაესანსლა ლამის დედამინა, მორევის ყბიდან ამოჩრილ ლოჯზე კაცი შერჩენილი შველას იძახოდა. გაიგონებდა ვილაც ხმელეთზე, გაიფიქრებდა: — მეშველაობით იძახის კაცი, თუ მეჩვენება? — შევიდოდა სახლში, კარს მიიხურავდა. კაცისთვის ღმერთმა როგორ მოიცალოს, ამოდენა სამყაროს გამრიგემ? მოუყვანოთ იქნებ ვინმე, ნუ ერქმევა თუნდაც სახელი, თუნდაც თვითონ იყოს და

ღმერთივით ეძახოს შველა, — ძმანო, ვკვდები, მომეშველენით! — ასე ეძახოს... კაცი მაინც შველას დაიძახებს, მარტოც იყოს მთელ დედამინაზე. ეს რამეს შეცვლის კაცის ბუნებისათვის? ეს ანუგეშებს?

ჩემზე მეტი ძალა არ ვიცი — ეს მანუგეშებს.

მეგონა წერა, მაგრამ ვერ მიშველა, უფრო ღრმად შემესო.

ერთიც ვერ ვნახე, ნუგეშს სადმე კაცი ეპოვნოს.

ჩემი ნუ გიკვირთ, დაძინების წინ ობოლი ბავშვებიც კი უფრო თამაშობენ. გინახავთ ალბათ, მშიერ-ობლები ძილით რომ სევდას იცილებენ.

ნამცეცს თუ დავდევ, დედამინაზე ვარ, თუ ერთი ხელით ვაგროვებ და ვიყრი მეორეში, სამყაროში კოვზი ჩამიყვია... — სახელი ნუ დაიკარგება!

ნაქიშპარი მამალი მინახავს, ნაბრძოლი ძალი, ბარბაცი მხოლოდ კაცის თვისებაა. განბილებულიც მინახავს თავის სარკის წინ, არ ეჯერა, რასაც უყურებდა. მინახავს, ახალი კაცი შემოსულა პოეზიაში, განბილებულა, რომ უნახავს — სიმჭიდროვეა, სრულყოფილებაა, სისავსეა პოეზიაში, ხელს ვერ ჩაატევ, როგორც მაგრა მოჭერილ ქამარში.

კაცი ნბილდება თავის გრძნობების გადმოცემაში, განბილდება საქმის დასასრულშიც, და, ნეტა რაა, განბილებას რომ გადაურჩა? ბარბაცი მხოლოდ კაცის თვისებაა, გზას ასე იგნებს. მოგეჩვენება, რომ გადავარდება, თანაუგრძნობ — ვერ ივლის სახლამდე, მაგრამ ბარბაცი აღწერილი ფორმაა იმის არსებისა, სამყაროსნაირი. სამყარო, სწორად რომ ნავიდეს,

ისარივით დაიკარგება, მაგრამ მოძრაობს კაცის ბარბაცივით, ანუ ვარაუდითა და ალლოთი — უსწაველ ცოდნით. — რომ ვიცოდე, რა ვარ, საიქიოშიც კი შევცოდებდი, რადგან ცხოვრებაში ამ საქმეს ვეჭირე; — რომ ვიცოდე, ვინ ვარ, ურმიდან რომ გადმომაგდეს, აღარ ვიკითხავდი... რა თავმოსაწონია და, წინა-წამეტყველივით ვწერდი წარსულში, რადგან წინა-წამეტყველი თუ მოგინდა, ასი საუკუნით უნდა განარსულდე.

კარგია ეს, თუ არის ცული? რადგან, ვილაცა რომ ჩასცხებს ტლაპოში, შენც იწუნები,

მოიკითხავ: — ვინ ჩაადგაფუნა? — წინა-წამეტყველმა!

დინოზავრი ვერ წამოდგება, ვერც წინა-წამეტყველი, მილიონჯერ ხნეირი ვირუსები კი ყინულში იმშუმნებია.

გინახავთ ალბათ, გაყინული სახლი მშიერ-ობლების თამაშით პურის საცხობივით ისე გახურდება, რომ ოფლსაც ინმენდენ.

— რა უშველის ღრმად ნასულ ეკალს? — ამოღება, მხარზე გადაბა ოთხი კაცისგან...

მოკვდები, როგორც სუყველა, ვინც სიკვდილით თავს უშველა. არ ვარგა სოფლისთვის, როცა მამალი არ ყივის, არ ვარგა ქვეყნისთვის, როცა არავინ იკვეხნის.

თემურ გაბუნია

# ჟანრული ჩარჩოს მიღმა

ლიტერატორები მკვეთრ ზღვარს ავლებენ ჟანრებსა და მიმდინარეობებს შორის, თუმცა ზოგიერთ დიდ მწერალს აქვს განსხვავებული შეხედულებები მხატვრულ ნაწარმოებთან ჟანრულ კუთვნილებასთან დაკავშირებით. საკითხში უკეთ გასარკვევად, გავიხსენოთ, თუ რას ეფუძნება მათი თვალსაზრისი, მით უმეტეს, რომ რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობის თხზულება ამკარადაა გასული ლიტერატორთა მიერ დაწესებული ჩარჩოებიდან.

## ლევინისა და ელიოტის მოსაზრებები

თომას მანმა „დოქტორ ფაუსტუსზე“ მუშაობა 1947 წელს დაასრულა. წერის პროცესში ის მუსიკალურ თემაზე შექმნილ ლიტერატურასაც კითხულობდა, რაც არც იყო გასაკვირი, რადგან რომანის მთავარი გმირი, ადრიან ლევერკუიუნი, კომპოზიტორი გახლდათ. არ იყო მარტივი მუსიკალური სამყაროს ტერმინებსა და ნიუანსებში გარკვევა. 1944 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მანისთვის, სულიერ გადაღლასა და გამოფიტვას ერთვოდა დაბალი წნევა, უმადობა და დისპეპსია. თუმცა მწერალი არ ნებდებოდა, არც კითხვას წყვეტდა და არც რომანზე მუშაობას. რამდენიმე წიგნის ნაკითხვის შემდეგ (უშუალოდ მუსიკალურ თემაზე), მას ხელში ჩაუვარდა ჰარი ლევინის „ჯეიმზ ჯოისი“, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა, რადგან გრძნობდა, რომ ავტორი მისთვის ძალზე მნიშვნელოვან თემას ეხებოდა. თანდათანობით გონება გაუნათდა, ახლა უკეთ ნვდებოდა საკუთარი დაუსრულებელი თხზულების არსს. მანინც რა აღმოაჩინა ლევინმა? ესეში „დოქტორ ფაუსტუსის შესახებ“ მანი წერს: „აღნიშნულმა წიგნმა და კემბელოს კომენტარებმა რომანზე „ფინეგანის ქელები“ რაღაც მოულოდნელი კავშირები მაპოვნინა ჩემსა და ჯოისის შორის... მეტიც, გარკვეული ნათესაობაც“, თუმცაღა ადრე მიაჩნდა, რომ „ჯოისის ექსცენტრული ნოვატორობასთან შედარებით“ საკუთარი თხზულებები ფერმკრთალი და ტრადიციული ჩანდა. მანი მიხვდა, რომ სხვაობა საკუთარ და ჯოისის ნაწარმოებებს შორის ზედაპირული იყო, სინამდვილეში ლევინს მასზეც შეეძლო ეთქვა ზუსტად ის, რაც ჯოისის შესახებ განაცხადა, სახელდობრ: „მწერლის თხრობის სტილი გამოდის ჩვეულებრივი ბელეტრისტიკის ჩარჩოებიდან. არც „ხელოვნის პორტრეტს“ და არც „ფინეგანის ქელებს“ მკაცრი განსაზღვრებით რომანებს ვერც ვუნდებთ. ხოლო „ულისე“ ის ნაწარმოებია, რომლის შემდეგაც რომანების დანერგა საერთოდ შეუძლებელიც ხდება... თანამედროვე მწერალთა საუკეთესო თხზულებებში მხატვრული სახეები კი არ იქმნება, არამედ წარსულიდან გამოიხმობა, რათა გაცოცხლდნენ და მკითხველს წარუდგინონ მოგონებებით გაფლენილები“. გერმანელმა მწერალმა გარკვეული თანხვედრა აღმოაჩინა საკუთარ და ტომას სტერნს ელიოტის მოსაზრებებს შორისაც: „ხომ არ ამოწურა რომანმა საკუთარი თავი ფლობერისა და ჯეიმზის დროიდან და უფრო მართებული ხომ არ იქნება „ულისეს“ ეპიკური პოემა ვუნდობოთ?“ მანმა უეცრად იგრძნო, რომ მსგავსი კითხვის დასმის უფლება თავადაც ჰქონდა. მიაჩნდა, რომ „ჯადოსნური მთის“, „იოსებისა“ და „დოქტორ ფაუსტუსის“ შესახებაც შესაძლოა, თქმულიყო მსგავსი რამ. „ისე ხომ არ მოხდა, რომ ამჯერად რომანებს შორის გამორჩეულად მხოლოდ ის თხზულებები თუ მიიჩნევა, თავიანთი არსით უკვე რომანებიც რომ აღარაა.“ — აღნიშნა მოგვიანებით ესეში. მანინც რას გულისხმობდა? ან რატომ ააღელვა ასე ჰარი ლევინის გამოხატულება მხატვრული სახეების შექმნის შესახებ? ხომ არ დანახა სარკეში საკუთარი თავი? ცხადად ხომ არ შეიგრძნო, რომ ჯოისისთვის გასული იყო ჟანრული სივრცეებიდან?

## მითოსური ფონი

თომას მანმა ესეში „დოქტორ ფაუსტუსის შესახებ“ ჰარი ლევინის მოსაზრების

შეფასებისას სამი თავისი გამორჩეული თხზულება ახსენა, მათ შორის — „იოსები და მისი ძმები“. მკითხველი შეიძლება დაეჭვდეს, მაინც რა ხილული ან უხილავი კავშირი უნდა ჰქონდეს ბიბლიურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებს ჯოისის შემოქმედებასთან? თუმცა საკითხს თუ ჩავუღრმავებთ, „იოსების“ პროლოგშივე აღმოვაჩინებთ რაღაც მსგავსებას მწერლების მხატვრულ ხედვათა შორის. წინასიტყვაობაში უამრავ თემაზეა საუბარი: მინათმოქმედების, მეცხოველეობის, მევენახეობის, ბოტანიკის, ბოლოლოგის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის, არქიტექტურის, ენათმეცნიერების, ასტრონომიის, ასტროლოგიის, პოეზიის, მითოსამყაროსა და რელიგიის. ვისაც ჯეიმზ ჯოისის „ულისე“ ნაუკითხავს, გაახსენდება, რომ მის ყოველ ეპიზოდს აქვს საკუთარი ხელოვნება (თემა): „ტელემარქსი“ — თეოლოგია, „ნესტორსი“ — ისტორია, „პროტევესი“ — ფილოსოფია, „კალიფოსი“ — ეკონომიკა, „ჰადესი“ — რელიგია, „ეოლოსი“ — რიტორიკა, „ლესტრიგონელესი“ — არქიტექტურა, „სკილა და ქარიბდასი“ — ლიტერატურა, „მოხეტიალე კლდეები“ — მექანიკა, „სირინოზები“ — მუსიკა და ასე შემდეგ. ამ უცნაური მსგავსების შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ, თუმცა არის სხვა ნიშნებიც, რომლებიც მანს ჯოისთან აახლოებს, კერძოდ — მკვეთრად გამოხატული მითოსური ფონი და მრავალპროტოტიპიანი პერსონაჟები. ჟიულიენ სორელი, მაგალითად (სტენდალის რომანიდან „წითელი და შავი“) — ჟიულიენ სორელია, მას არც ბიბლიური წინასახეები ჰყავს, არც — მითოსური და არც — ლიტერატურული. მაშინ, როდესაც მანისა და ჯოისის პერსონაჟები თითქოს „წარსულიდან არიან გამოხმობილი“. ბლუმი თანამედროვე პარადიული ოდისევსია, სტივენი — ტელემარქი, მოლი — პენელოპე. მეტიც, მათ სხვა ბიბლიური, მითოსური და ლიტერატურული წინასახეებიც ჰყავთ. თავის მხრივ, არც მანისთვისაა უცხო წარსულის აჩრდილების გაცოცხლება. მაგალითად „დოქტორ ფაუსტუსის“ პერსონაჟს, კომპოზიტორ ადრიან ლევერკუიუნს რამდენიმე პროტოტიპი ჰყავს — ფრიდრიხ ნიჭე, ფაუსტი და თვით ბიბლიური ქამი. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან „ასე იტყოდა ზარატუსტრას“ ძირითადი კონცეფცია სწორედ წარსულის მარადიული დაბრუნებაა. მსგავსი თემა დომინირებს „იოსებშიც“, რაზეც მეტყველებს რომანის პირველივე თავის სათაური — „ჭასთან“. მწერალი ხშირად ახსენებს „უძირო ჭას“, რომელიც თანდათანობით კაცობრიობის მითოსური წარსულის სიმბოლო ხდება. მანი თხრობის დაწყებისთანავე მიგვანიშნებს, რომ პერსონაჟთა უმეტესობას წინასახეები ჰყავს. მეტიც, რომანში ჯერ კიდევ მუცლად მყოფ იოსებს უწინასწარმეტყველებენ თამუზის ხვედრს. ვაჟი გეყოლება, რომელსაც მისტიკური თესლივით ორმოში ჩააგდებენ, რათა გაზაფხულზე გაცოცხლდეს, უთხრა ემპეკვიდრობითი წინასწარმეტყველური ნიჭის მქონე რიმუტმა რახელს. ასე რომ, მწერალი მკითხველს თავიდანვე ამზადებს მითოსური ფონის აღსაქმელად.

## გველავის ხაროში ჩაგდება უფლისწული

ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით ძვირფასი უნდა იყოს ბიბლიური იოსები და მის შესახებ დანერგული რომანიც, თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენც გვყავდა გაუტანლობისა და შურის გამო ორმო-




ში ჩაგდებული უფლისწული. რთულია, კაცობრიობის ისტორიაში მოიძებნოს ორი ისეთი მსგავსი ადამიანი, როგორებიც ბიბლიური იოსები და ლაშა-გიორგის ძე დავით ულუა. მეტიც, ისინი (განვილიო ცხოვრებით) უფრო გვანან ერთმანეთს, ვიდრე რეინკარნაციის თეორიის მომხრე ზოგიერთი ანთროპოსოფოსის მიერ მონათესავე სულელებად შერაცხილი ისტორიული პირები. გავიხსენოთ თუნდაც „ილიადას“ ერთ-ერთი გმირი — ჰექტორი, რომელიც, რუდოლფ შტიინერის აზრით, თურმე შემდგომ ცხოვრებაში დანიის უფლისწულის ჰამლეტის სახით მოველინა ქვეყანას; ხოლო ემპიოკლე, ვეზუვის კრატერში გადახტომით რომ დაასრულა სიცოცხლე — ფაუსტის. შტიინერს მიაჩნდა, რომ თავისი ოკულტური ხედვით ნვდებოდა ამ ინკარნაციათა საიდუმლოს. მისთვის ჰექტორი და ჰამლეტი, თავიანთი სიდიადისა და კეთილშობილების მიუხედავად, განწირული იყვნენ დამარცხებისთვის, ხოლო მსგავსება ემპიოკლესა და ფაუსტს შორის იყო მათი ზიარება ცეცხლის სტიქიასთან. თუმცა დავუბრუნდეთ იოსებს, რომელსაც ორჯერ დაემუქრა სასიკვდილო საფრთხე, პირველად, როცა ძმებმა დამშრალ ჭაში ჩააგდეს, ხოლო მეორედ, როდესაც ფოტივარის მუხლის ცილისწამების გამო საპყრობილეში მოხვდა. ქართველ უფლისწულსაც ორი უმძიმესი განსაცდელი შეემთხვა, თანაც ისიც უახლოესმა ადამიანმა განირა — მამიდა რუსუდანმა, რომელსაც თავისი ვაჟის გამეფების სურვილმა დაავინყა ღმრთის შიშიც, მისი (ლაშა-გიორგის) ანდერძიც, საკუთარი ფიციც და სულთან ყიასდინს მოსთხოვა ძმისშვილის მოკვლა. ყიასდინი რუსუდანის სიძე იყო. ის ნათესავის დასჯისგან თავს იკავებდა, რაღა თქმა უნდა, არც მის მეუღლეს თამარს ემეტებოდა ბიძაშვილი სასიკვდილოდ... და აი, მეფე რუსუდანმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, მან ყიასდინისთვის გაგზავნილ მორიგ წერილში ძმისწულს ცილი დასწამა, თითქოს იგი სულთნის ცოლს თამარს „თანა ეყოფოდა“. ყიასდინის ბრძანებით დავითი შეიპყრეს და „მრავალნი ტანჯვანი შეამთხვივნეს“, ხოლო შემდეგ მენავეებს გადასცეს ჰეღვაში დასაწარმოებად. დავითი მუდამ თან ატარებდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს. სასიკვდილოდ განწირულმა ხატი უბიდან ამოიღო და ღვთისმშობელს შეევედრა: „ყოვლადწმიდაო დედაო! შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშისმცემელი მწარისა ამის სიბოლისა ჩემისა და უმჯავროსა სიკვდილისა, რომელ სამარესა და მინასა შინა დაფლვად არავინ ღირს-მყო, არამედ საჭმელად თევზთა... მოწყალეობათა შენთა მინდობილი ვითხოვ... მისხნა ჰაერის მცველთა ხელთაგან და საძინელთა მათ სატანჯველთაგან, რომელსა მოელიან ჩემებრ ცოდვილნი...“ და აი, ერთ-ერთ მენავეს ღვთის წყალობით შეებრალა სასიკვდილოდ განწირული და „მცირე რამ ფიცარი მისცა ხელთა მისთა“. დავითი ზღვამ ნაპირზე გამოიჩია. მას კისერზე კვლავ ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, რომელიც მენავეებმა არ წაართვეს.

ასე გადაურჩა დავითი ყიასდინის რისხვას, თუმცა დროებით. ექვსი თვის შემდეგ ერთ-ერთ ადგილობრივ ვაჭართან შეხიზნული შეიპყრეს და ისევე სულთანთან დააბრუნეს. ამჯერად ყიასდინის განჩინება უფრო მკაცრი იყო. მისი ბრძანებით დავითი უწყლო და გველებით სავსე ჯურღმულში ჩააგდეს, რომლის „ხედა ილო ლოდი და არა იყო ნათელი“. დავითს ამჯერადაც თან ჰქონდა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც გულიდან არ იშორებდა... და მოხდა მეორე სასწაულიც, ლაშა-გიორგის ძე გველებმა არ დაგესლეს, მას არც პური და წყალი მოკლებია, რადგან მამამისის ერთგულმა მსახურმა სოსანამ მოახერხა ქვების ქვეშ მცირე გვირაბის გათხრა, საიდანაც აწვდიდა ორ გულდას. ერთში პური ილო, მეორეში კი — წყალი. ძილის დროს დავითს „გველნი იგი რომელნიმე მოეხვის ყელსა, რომელნიმე ფერხსა და სხუანი უბესა, სხუანი გვერდსა უწვიან“. ხოლო ერთხელ შემთხვევით, როცა ძილში გვერდი იცვალა, უნებლედ გველს დაანვა. გამძვინვარებულმა ქვეწარმავალმა მხარზე უკბინა. მაშინ სხვა გველებმა მკბენელი გველი შეჭამეს, დავითს კი ნაკბენი ენით აულოკეს და წყლული მოუშუშეს. ხუთიოდ წლის შემდეგ, როცა რუსუდანი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ხოლო მისი ვაჟი ურდოში იმყოფებოდა, ქართველმა დიდებულებმა ლაშა-გიორგის ძე მოიძიეს და საქართველოში დააბრუნეს. რამ გადაარჩინა დავითი? რა თქმა უნდა, რწმენამ, რომელმაც არა მხოლოდ ის, მთელი საქართველოც დასახლდა, ჩვენს ქვეყანას ხან ქედზე მიჯაჭვულ გოლიათს ადარებენ, ხან კი — დაჭრილ არწივს, ყვაფ-ყორნებს რომ ეომება. თუმცა, შესაძლოა, საქართველო ყველაზე მეტად გველებით სავსე ჯურღმულში ჩაგდებულ უფლისწულს ჰგავს, თვისტომისგან განწირულს, ადამიანთა ცოდველის გამო დასჯილს, ნაადრევად სიკვდილი რომ არ უწერია, რადგან ღმერთს სურს, დიდხანს იცხოვროს და სამჯავროზე ტანჯვაგამოვლილი წარდგეს.

## იოსების გზა

იშვიათად მოიძებნება ისეთი ბიბლიური გმირი, ქვეყნელის კურთხევაც რომ აქვს და ზეცისაც, რომელიც ქვეყნიერებამაც შეიყვარა და უფალმაც, აღნიშნავს მანი საკუთარი თხზულების მთავარი პერსონაჟის შესახებ... და მართლაც, „ორმაგი კურთხევის მქონე“ იოსებს ყოველთვის ხელი ემართება. ხანდახან ახლოსაა დაცემასთან (მაგალითად, მუტ-ენ-ემეტის ცდუნებისას), თუმცა საკუთარ თავს თოკავს, აგზნებულ ქალს ხელში შეატოვებს სამოსელს და გაეცლება. საგულისხმოა, რომ ენის წინასახე იშთარია, იოსების პროტოტიპებს კი (აბელსა და თამუზ-ოზირის-ადონისს), ამჯერად უკვე გილგამეშიც ემატება. სწორედ ამ მითოსურ გმირთან აიგივებს თავს იოსები, როდესაც მასზე შეყვარებულ ქალს ნაწყვეტს უკითხავს შუმერული პოემიდან. ბიბლიაში ფოტიფარის მეუღლის ცდუნება გველის ცდუნებასთანაა გაიგივებული. საუბარია აკრძალვაზეც, რომელიც არ უნდა დაირღვეს. ჩემმა ბატონმა



ყველაფერი მე ჩამაბარა ამ სახლში, მხოლოდ შენი თავი ამიკრძალა, რადგან მისი ცოლი ხარ. „როგორ ჩავიდინო ეს დიდი ბოროტება და შევეცოდო ღმერთს?“ — უკვირს იოსებს. თომას მანი ასახელებს სხვა მიზეზებსაც, რის გამოც ენი უარყვეს: ისრაელის უფალთან დანიშნულობას, ფოტიფარისადმი ერთგულებას, იოსების სულიერ სიმტკიცესა და სიამაყეს და, რაც მთავარია, მამისადმი კრძალვას. გადაწყვეტილი მომენტში, სწორედ იაკობი დაუდგება თვალწინ და ქალს გაეცქერება. მამისადმი ერთგულება იოსებისთვის უფლის ერთგულების ტოლფასია. სწორედ ამ რწმენით ამარცხებს ენი-იშთარის მიერ ცდუნების სახით მოვლენილ „ზეციურ ხარს“. იოსებს ორჯერ ავადებენ „ორმოში“. თავდაპირველად — დამშრალ ქაში, შემდეგ კი უკვე — ეგვიპტის სატუსალოში, თუმცა ორჯერვე უნდა გაარღვიოს ჯოჯოხეთის ბჭენი და მისტიკური თესლივით აღმოცენდეს. იოსების პირველი განსაცდელის მიზეზი პირმშობებისა და მამის კურთხევისთვის ბრძოლაა. იმ ეპოქაში ებრაელებს მეფეები არ ჰყოლიათ, თუმცა საკუთარ თვისტომზე მას უნდა ებატონა, ვისაც მამა აკურთხებდა. იოსების მოყოლილმა სიზმარმა ძმებში უჭირს და ეჭვი აღძრა. რატომ უნდა ეცათ თავყვანი მათ მიერ შეკონილი ძმებს უმცროსი ძმის კონისთვის შუაგულ ყანაში? „ნუთუ ჩვენზე იმეფებ? ნუთუ პატრონად გავვიხდები?“ — აღშფოთდნენ და როცა საშუალება მიეცათ, სასიკვდილოდაც გაიმეტეს. თუმცა ლეას ძემ (იუდამ) ძმებს გადააფიქრებინა: არ მოვკლათ, ისმავლიანებს მივყიდეთ. ასე მოხდა ოც ვერცხლად გაყიდული იოსები „მკვდართა ქვეყნად“ ნოდებულ ეგვიპტეში. იქ აღვირახსნილობით ვერავის გააკვირვებდი, რადგან თვითონ ქურუმები ურჩევდნენ ქალებს, იშთარის სახელით ემრუშათ. მეტიც, ჰეროდოტეს მიხედვით ფარაონ სესოტრისის ვაჟის ეპოქაში თურმე მთელ ეგვიპტეში ვერ იპოვეს ისეთი ქალი, ქმრისთვის რომ არ ეღალატა. ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგონები ნარმართულ რელიგიურ დღესასწაულზე ყველას თვალწინ თხსა თანაეყოფოდნენ. რთული იყო ღვთის ერთგულებისა და ტრადიციების შენარჩუნება ასეთ გარემოში, თუმცა იოსებმა ეს შეძლო. სწორედ ამის გამო იქცა ლეგენდად, მოგვიანებით კი, არა მხოლოდ საკუთარი თავი, ისრაელიც იხსნა შიმშილით სიკვდილისგან.

### უჟამო ჟამი

„იოსები“, „დოქტორი ფაუსტუსი“ და „ჯადოსნური მთა“ არა მხოლოდ ჟანრობრივი სივრცეებია გასული, არამედ — დროისაც. ამ თხზულებების ზოგიერთი პერსონაჟი ისე მოქმედებს და აზროვნებს, თითქოს არც არსებობდეს ზღვარი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. მწერალი ხშირად საუბრობს „უჟამო ჟამზე“. ეს გამონათქვამი თავდაპირველად წარმართი ფილოსოფოსების თხზულებებში გვხვდება მარადისობასა და ღმერთთან დაკავშირებით, თუმცა ქრისტიანულ თეოლოგიაში უფლის ქალაქის ატრიბუტი გახდა. „უჟამო ჟამი“ მაცხოვართან დაკავშირებული

მეტაფორაცაა, რამეთუ იესო უჟამოდ შვა მამამ (ანგელოზებისგან განსხვავებით, რომლებიც პირველ დღეს შეიქმნენ). თომას მანის პერსონაჟები (იოსები, ცაიბლომი, ჰანს კასტორპი) ცდილობენ, ჩასწვდნენ უჟამო ჟამის არსს. მწერლის აზრით, ზედროულობა ყველაზე მეტად რელიგიური მსახურებისას იჩენს თავს. ყოველ შობას ხელახლა ევლინება ქვეყნიერებას მხსნელი ჩვილი, რომელიც უნდა ევნოს, მოკვდეს და მკვდრეთით აღდგეს. მანის იოსებისთვის არა მხოლოდ სემიტ პატრიარქებთან დაკავშირებული თქმულებები და რელიგიური შეხედულებებია ძვირფასი, არამედ — შუამდინარეობა. ის განსაკუთრებით მძაფრად აღიქვამს თამუზისადმი დაკავშირებულ სადღესასწაულო რიტუალებს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარ თავს ხედავს ამ ღვთაებაში. მანის აზრით, წარსული იდუმალად სწორედ მისტიკებისა და რიტუალებისა მეორდება აწმყობაში. იოსებიც არღვევს ასტრონომიულ დროის საზღვრებს. ის წარსულის შემცნობიდან და მომავლის განმჭვრეტელიც, მისი ახსნილი სიზმრები კი საოცარი სიზუსტით უნდა ახდეს. იოსებს შეუძლია ინიანსწარმეტყველოს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ — საყოველთაო საფრთხეც, ეგვიპტეს რომ ემუქრება გვალვისა და შიმშილის სახით. იაკობის ძე თითქოს ახალი იერუსალიმის პოტენციური ბინადარია, მარადიული ქალაქის, რომელსაც არ დასჭირდება „არც მზე და არც მთვარე მანათობლად“, რადგან უფლის დიდება გაანათებს მას. იქ ღამე აღარ იქნება... არც — სანთელი და აღარც ნათელი მზისა, რადგან „უფალი ღმერთი გაანათებს მათ, და ექნებათ სუფევა უკუნიით უკუნიამდე“. ცხადია, უფლის ქალაქში დრო აღარ იარსებებს, ხოლო მის ბინადრებს ღვთაებრივი „უჟამო ჟამი“ ხედვა ექნებათ. თომას მანი მიგვანიშნებს, რომ წარმართებიც ცდილობდნენ, ჩასწვდნენ ზედროულობის საიდუმლოს (რამდენად წარმატებულად — ეს სხვა საქმეა). აღმოსავლეთში არსებობდა რვასაფეხურიანი იოგა, დასავლეთში კი — სწავლება ინიციაციის 12 საფეხურის შესახებ, რაც ჰერაკლეს გამირობების მითშიც აისახა. 12 გამირობა ინიციაციის 12 საფეხურია, რომელიც ჰერაკლემ ნათელიზავდა უნდა გაიაროს. დასავლური ინიციაცია და მითები რაღაცით ჰგავს აღმოსავლურს, რადგან ინდოევროპელების წინაპარი არიელები თავდაპირველად არალის ზღვის მიდამოებში ცხოვრობდნენ, შემდეგ გადაინაცვლეს ინდოეთში, ინდოეთიდან კი — ევროპაში, ამიტომ ენოდებათ ევროპელებს ინდოევროპელები, მათ ენათა ოჯახს კი — ინდოევროპული. ასე რომ, გასაოცარი არც უნდა იყოს მსგავსება რვასაფეხურიანი იოგასა და ინიციაციის 12 საფეხურს შორის. ჰერაკლე ნემის ლომს კლავს. ლომ-ვეფხვის დახოცვა ქვედა ბუნების დათრგუნვისა და გრძნობების მოთოკვის სიმბოლოა როგორც აღმოსავლეთში, ასევე შუამდინარეთშიც, ესაა ნებისმიერი ადვალტისთვის პირველი გაკვეთილი, ხოლო მეორე (ასთავიანი ჰიდრას მოკვლა) — კონცენტრაციაში ვარჯიშია. ველად გაჭრა და ლომ-ვეფხვის

დახოცვა (რაც აისახა „გილგამეშიანში“) შუამდინარული ქურუმთა სკოლისთვისაც ახლობელი უნდა ყოფილიყო და პროტოქართული პელაგებისთვისაც. ვეფხვისა და ლომის ტყავები ემოსათ ტროას უფლისწულებს, რაც მეფე-ქურუმობის სიმბოლო იყო. თუმცა დაუზრუნდეთ ქვესათაურში გამოტანილ უჟამო ჟამის თემას, რომელზეც „ჯადოსნური მთის“ პერსონაჟებიც საუბრობენ. გავისხენოთ, რა უცნაურ გარემოში აღმოჩნდება მთის სანატორიუმში რამდენიმე დღით დარჩენის მოსურნე ჰანს კასტორპი. „ნამდვილი წელიწადის დრონი აქ, ჩვენთან არ არსებობს, — უხსნის მას ჩასვლისთანავე ბიძაშვილი იოახიმი, — რადგან თვე ისე არ გავა, რომ არ მოთოვოს“. თანდათანობით უჩვეულო, ზედროულო სივრცეში მოხვედრილ კასტორპს „კოსმიური აზროვნება“ უღვივდება, შემდეგ კი „უჟამო ჟამის“ შესახებაც იწყებს ფიქრს. სწორედ ეს ზედროულობის შეგრძნება ავინყებს ასტრონომიულ დროს, კასტორპი უკვე ჩვეულებრივი (მატერიალურ ყოფაზე მზრუნველი) ბიურგერი აღარაა, ის ადვალტია, რომელიც მზადაა რამდენიმე ათეული წელი დარჩეს სანატორიუმში, თუკი ამას შემეცნების პროცესი მოითხოვს. დრო ჯოისის რომან „ულისეშიც“ საკმაოდ პირობითია, ესაა ერთი უზარმაზარი, ყველაზე ხანგრძლივი დღის ეპოპეა, „ფინგანის ქელები“ კი — ლამის. გარკვეულ მსგავსებას პოულობენ ლიტერატორები „ფინგანის ქელებსა“ და გურამ დოჩანაშვილის სახარებისეულ თემაზე დაწერილ უკანასკნელ თხზულებას „ბრმადყოფილზე და...“ შორის, რაც არცაა გასაკვირი, რადგან დროის საზღვრები ქართული მწერლის აღნიშნულ ნაწარმოებშიც მორღვეულია. მანის „იოსები“ რაღაცით ჰგავს ჯოისის თხზულებებს, მაგრამ არის მათ შორის თვალშისაცემი სხვაობაც. გერმანელი მწერლის შემოქმედებაში ბიბლიური წარმოდგენები მითოსურ ერწყმის. ჯოისის რომანების უმთავრესი თემა კი ქრისტიანობისგან განდგომაა (რადაც წარმართულ ხელოვნების ზეიმზე მოხვედრის მიზნით). აღნიშნული თემა სიმბოლურად ავტობიოგრაფიული პერსონაჟის სახელსა და გვარზეც აისახა. სტივენი მკითხველში სტივენ პირველმონამის ასოციაციას იწვევს, დედალოსი კი — მიკენელი მითოსური გმირის, რომელმაც ლეგენდარული ცხობირობითი ააგო. თვითონ ჯეიმზიც უბოვრების პირველ ეტაპზე თავგამოდებული ქრისტიანია, თუმცა მერე კათოლიკურ რწმენას ტოვებს და როგორც მწერლის ძმა სტანისლოს ჯოისი აღნიშნავს, „ალტერნატიული რელიგიის“ აღმსარებელი ხდება. ეს ეგრეთ წოდებული ალტერნატიული რელიგია აისახა კიდევ „ულისეზე“, რომელიც აფროდისიას უფრო ჰგავს, ვიდრე რომანს, თავისი უმთავრესი პერსონაჟით მოლი ბლუმით, ქმარი და საყვარლები ვენერა პანდემოსივით რომ ეთაყვანებიან. ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რომელ ჟანრს მიეკუთვნება გერმანელი მწერლის ნაწარმოებები? თვითონ მანი ცალკე გამოჰყოფდა „ინიციაციურ თხზულებებს“. ასეთად მიიჩნევდა „გილგამეშიანს“ და ყველა იმ ნაწარმოებს, რომელთა პერსონაჟებიც საკუთარ თავზე მალდებდნენ, ანუ იმაზე რაღაცით უფრო მეტნი ხდებიან, რაც იყვნენ. სამწუხაროდ, ლიტერატორებმა არ გაიზიარეს მანის შეხედულებები. ასე რომ, დღეს რომანისტიკად არიან მიჩნეული ზოგიერთი დიდი მწერალიც და ბუნებრივად რომანების ავტორებიც. არადა განსხვავება თვალშისაცემია, ინიციაციურ თხზულებებში რამდენიმე შრეა — ისტორიული, რელიგიური, ყოფითი, მისტიკური... მათი ავტორები თითქოს პლუტარქესეული თორმეტი საფეხურის თეორიის მიმდევრები არიან. ხოლო ბუნებრივად რომანებში უმთავრესი სენტიმენტალური გრძნობები და ბანალური სასიყვარულო სცენებია. ამრიგად, უფრო სამართლიანი იქნებოდა თომას მანისა და რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობის მწერლის ნაწარმოები ინიციაციური ჟანრისთვის მიგვეკუთვნებინა, მაგალითად, დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“ და „ღვთაებრივი კომედია“, ვოლფრამ ფონ ეშენბახის — „პარციფალი“ და გრაალის თასის შესახებ შექმნილი სხვა თხზულებები, რომელთა უმთავრესი თემაც უჩვეულო, მიღმიერ სამყაროსთან შეხებაა.

### ჯორჯ ბორდონ ბაირონი

არიან პოეტები, რომელთა შემოქმედებასაც ჟანრებისა და მიმდინარეობების ჩარჩოებში ვერ გამოვკეტავთ, ასეთ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება ბაირონი. ყოველთვის მათ ეძებდა, რატომ მიიჩნის რომანტიკოსად, რადგან გვიანდელი ბაირონი უკვე სცილდება აღნიშნული მიმდინარეობისთვის დანესტრულ საზღვრებს, თუნდაც დრამით „კაენი“, რომელიც მისტიკია უფროა, ვიდრე ჩვეულებრივი პოეტური ნაწარმოები. და, რაც მთავარია, არაფერი აქვს საერთო რომელიმე დღემდე არსებულ („იზმები“ და „ისტები“ დასაზღვრულ) მიმდინარეობასთან. ზოგიერთისთვის ბაირონი ცხოვრებითაც რომანტიკოსია, რაც არასწორია, რადგან თავად პოეტისთვის არისტოკრატ ნინაპართა ცხოვრების წესისადმი ერთგულ ნარმოედგინა, სხვაგვარად ეცხოვრა. მწერლის განწყობა კარგად ჩანს 15 წლის ასაკში დაწერილი ლექსში On Leaving Newstead Abbey. XI საუკუნეში აგებულ ნიუსტედის სააბატოში განისვენებდნენ ბაირონები, ერთ დროს ჯვაროსნულ და სხვა ომებში რომ მონაწილეობდნენ. უმეტესობა გმირულად დაცემულიყო ბრძოლის ველზე. ბაირონიც გამოჩნეულად უყვარდა ეს ადგილი. ხშირად ჩერდებოდა სააბატოს თაღებზე და დაჰყურებდა საფლავებს. სწორედ ნიუსტედისგან ხანგრძლივი ვადით გამგზავრების წინ დაწერა ლექსი-შედევი, რომელშიც ეთხოვება წინაპრებს და პირობას დებს, რომ მათსავით იცხოვრებს და მოკვდება: Like you will he live, or like you will he perish; When decay'd, may he mingle his dust with your own! პოეტმა დანაპირები შეასრულა. ორი ათეული წლის შემდეგ ის საბერძნეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა. წინაპრებივით იცხოვრა და აღესრულა. რატომ უნდა მივანებოთ რომანტიკოსის იარღი? ბაირონის სიტყვა და საქმე ერთი იყო. როგორი ცხოვრებითაც იცხოვრა, ისევე წერდა. არისტოკრატულ წარსულს მისტიროდა, ასეც იყო. ახალი დროის დადგომასა და ფულის დიქტატურის დამყარებას ხომ ბევრი მწერალი განიცდიდა მტკიცეულად: უილიამ ფოლკნერი, ჯონ სტაინბეკი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი... ნუთუ ისინიც რომანტიკოსებად უნდა მივიჩნიოთ?

### შეხვედრა რიჩარდ ბერინგარტენთან

ყოველთვის მერიდებოდა, ღიად გამომეხატა საკუთარი შეხედულებები ჟანრების შესახებ, მეგონა, მხოლოდ მე ვაზროვნებდი განსხვავებულად, თუმცა თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდ პოეტთან, რიჩარდ ბერინგარტენთან, შეხვედრამ უფრო გაბედული გამხადა. ეს კი სწორედ იმ საღამოს მოხდა, როცა მწერალთა სახლში გამართულ საღამოზე საქართველოში სტუმრად ჩამოსულს ასეთი კითხვა დაეუსვი: — რა აზრის ხართ პოსტმოდერნიზმის შესახებ? რატომ აყენებს თავდაპირა ამ მიმდინარეობის ზოგიერთი წარმომადგენელი ყველაფერს: ისტორიას, რელიგიას, მითოლოგიას? — დაიწყეთ იმით, — მიპასუხა ბერინგარტენმა, — რომ თვითონ ტერმინი პოსტმოდერნიზმი ნონსენსია. პოსტმოდერნიზმი ნიშნავს რაღაცას, რაც მოდერნიზმის შემდეგ დაიწყო. მაგრამ რაა თვითონ მოდერნიზმი? ვინ მიაჩნიათ მოდერნიზმად? ის, ვინც რაღაც სახელე შეიტანა ხელოვნებაში. მაგრამ, განა ყველა დიდი მწერალი თავისებურად მოდერნიზტი არაა? რას უნუნებენ, მაგალითად, ჰომეროსი, დანტეს, ვერგილიუსს, დოსტოევსკის? ისინი ხომ თავისი ეპოქისთვის ნოვატორები იყვნენ? თანაც ისეთ დონეს მიაღწიეს, როგორც ბევრ თანამედროვე მწერალს არც დასიზმრებია. ანუ რომ, ტერმინი მოდერნიზმი ნონსენსია, წელი, მეტიც — მინუსი, აზროვნების მინუსი. თუკი ეს ასეა, მე კი ეჭვიც არ მეპარება ამაში, ორჯერ დიდი მინუსია პოსტმოდერნიზმი. პასუხმა გამახარა, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღე.



ყარამან ჯიქურაული

\*\*\*  
შუა ხანსა და სიბერეს შორის გაკეთებულ ფულუროში ცხოვრობს 65 წლის თემურ ჩხეტიანი. და მარაგად ის კერკეტი ლექსები აქვს, რომელსაც ჩრჩილი ვერ შეუჭამს — თავადაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება მათი გულის გასატყობად...

\*\*\*  
საკონდიტროსთან, გვარიან ქარში, გოგო და ბიჭი ერთმანეთს იყენენ ჩახვეულნი. ახლოს მივედი და ფიჭვის ნერგი ირხეოდა ადამიანის სიმაღლისა...

\*\*\*  
ბნელ ოთახში, გულის უღრმეს კუთხეში, გაუმხელელი სიყვარული ცხოვრობდა ერთხანს. მერე უთქმელად წავიდა. 7 თვის ქირა მაგიდაზე დატოვა და უკვალოდ გაქრა. ნაბინავარში რაღაც უსახელო და გაურკვეველი გრძნობა შესახლდა, რომელმაც გაუთავებელი საჩივრებით ბინის პატრონი აიკლო, რომ ოთახში გამუდმებით იდგა ნესტის სუნი და ლამ-ლამობით მომაკვდავის გმინვა ესმოდა. თუმცა ამ ყველაფრით შენუხებულს გადასვლაზე არც უფიქრია. ნათესავებიც კი ჩამოისახლა, თავისი მგვანი და მასავით გაბეზრებულნი.

\*\*\*  
შენი დანახვა სველ ქვაზე ფეხის შედგამს გავს. არასდროს ვიცი, დავეცემი თუ ფეხზე დავრჩები...

\*\*\*  
ნახე, მამი, მე ხო არცერთ ჯგუფს არ ვეკუთვნი, თამბაქოც კი არ მომიწევია (ნიკოტინის მჟავას წვეთოვნით მისხამდნენ 15 წლის ბავშვს, სკლეროდერმიანს), აის მეორეებიც ჩემგან შორს დგანან. (აზრი არ ქონდა თმის გაბუებიტ პროფილში გადაღებულ ფოტოებს — ჩემი ბრაქიცეფალია ისეთივე კლასიკურია). მე შემძლია, ღმერთის პოზიციიდან შევაფასო — ზუსტად ვთქვა, რა როგორ არის. მერე ვანაში წვერის პარსვისას მომაგონდა, რომ ისევ დასაბანი ვიყავი და თითქოს ჩემი ღმერთობის გასაბათილებლად გამოვძახე: — „მე მდარე ხარისხის ადამიანი ვარ (ცყოფილვარ). ჰიგიენის ერთ დღეს თუ ჩავადგებ, ცხოველის სუნი მედება“ —

იმ კაცს ვერ ვგაგარ, ვისაც ვედარე, ყანაში, მზის გულზე მომუშავემ, ოფლი რომ არ იცის...

\*\*\*  
ცასავით უძიროა ჩემი მოლოდინი. შემძლია, მთელი ცხოვრება დაგელოდო და იმის იქითაც, როცა თქვენთვის, ადამიანებისთვის, ყველაფერი აზრს დაკარგავს...

ქსენოფონის ლექსი

მაგათი მოდგმა ყოველთვის ღმერთის იარაღი იყო დასავლეთის ხალხების დასასჯელად. გოგი და მაგოგი, გურგანს აქეთს წალეკვით ემუქრებოდნენ დასაბამიდან. მერე ჰუნები. მონღოლები, რომლებმაც შავი ჭირი ევროპაში გალანის მიღმა გვაშების სროლით შემოიტანეს. ჰეგელმა თქვა, რომ მონღოლოიდებს მხოლოდ ნგრევა და განადგურება მოაქვთ. მაგრამ საკმარისია, დახედო იაპონურ ფრესკას „მარიაში ყრმა იესოთი“, იფიქრო: იქნებ თვითონ ეს ხალხია ღმერთი?

\*\*\*  
ბევრი მინუნებს, მე კი ვფიქრობ, ახალგაზრდა ვარ ჩინებული... გაუმხელელი სიყვარულის ტკივილზე დაქორწინებული...

\*\*\*  
ძალიან ლამაზი ქალი იცინოდა და ჩემს მარტოობაზე უფრო მწარედ ავტირდი...

\*\*\*  
ცხელ გულს ყველაფერი შეუძლია, ძმაო, ცხელი გული მგელია, ცხელ გულში თითი ამოვიღე, ოქრო თუ გამოგელია...

\*\*\*  
აქ ცა სახედრის ფერია, ზედ უფალი ზის მორჭმით...

\*\*\*  
შესტიროდა: ნაზი ვარ, უმწეო

და ძუძუებს ორლულიანი თოფივით მკერდზე აბჯენდა...

\*\*\*  
პოეტს თავისი შინაგანის გარეთ გამოტანის გამო ეძლევა ალიარება, სიყვარული და პატივისცემა, იმ ხალხისგან, მკითხველები რომ ჰქვიათ, რომელნიც ზუსტად იმავს განიცდიან, მაგრამ ზემოთ ამოტანის გაფიქრებაც კი ზარავთ. პოეტმა კი ეს ჯვარი იმათ თვალწინ მარტო ადამიანური ბუნებით ზიდა, თანაც ისე, მამისადმი საყვედურიც არ დასცდენია...

\*\*\*  
უსმინე, ცოდნის მძებნელო, რას ამბობს აიურვედა — თუ გინდათ გაციკროვნება, ვნებები დაიურვეთა...

\*\*\*  
აი, ვაჟა, აი, ხარანაული, აი, ხელაშვილი, აი, ბიძა ჯარჯი! გეყოთ, გეყოთ, ფშავლებო! ასეთი მცირე კუთხისთვის მეტისმეტია... მეც სულ სინდისი მჯენჯავდა, კალმისკენ როცა გავაპარებდი მზერას, თითქოს რაღაც უხილავი მიბორკავდა ფანტაზიას, რამე ღირებული წამომცდენოდა, რომ (ღმერთი არ გამწყრომოდა და) ამ დიდებულ კოჰორტას არ შევერთდებოდი. და 21 მარტის ღამეს, დღე-ღამის სწორობა-ბუნიაობას, 2020-ში, როცა ჩემი ვირთხის წელი იდგა, როცა ბესიკ ხარანაულის სურათებს ვსერჩავდი ინტეში, თავში დამკრა — მორიგ ებრაელ გენიოსს ხომ არასდროს აბრკოლებს იმაზე ფიქრი, რომ მისი „წინა კაცნი“ უკვე „კმა არს“ და მას შეუძლია, დაისვენოს?

\*\*\*  
როგორც შენ ხედავ შენს თავს, ისე გხედავენ სხვები. თუ თავს გრძნობ ოკეანედ, თავს მოგიხრინან ზღვები.

\*\*\*  
მშობარა ადამიანები ის სულელებია, ვინც წინა ცხოვრებაში უშიშრობით დაილუპუნენ...

\*\*\*  
სიკვდილი წერტილი არ არის, სიკვდილი მრავალწერტილია...

\*\*\*  
მირბოდა. გოგოსთვის სიტყვა მიჰქონდა მოსაბრუნებელი. ესკალატორზე უხერხულად მდგარ დედა-შვილს გვერდი ვერ აუარა.

დაყოვნდა ნამებით. ელ-კიბის ბოლო საფეხურებიდან დანახა მატარებლის წასვლა.

არაფერი უთქვამს. მოსაბრუნებელი სიტყვა თავად დასჭირდა.

\*\*\*  
32 — ასაკი 1. 80 — სიმაღლე. ხოლო წონა და მასა კი (რაც გულში ჩადგა სილაღე) არის იმდენი, რამდენსაც ზიდავენ ჩემი ძვლები, და გაცილებით მძიმეა ჩემი ჩამქრალი თვალები...

\*\*\*  
ჯარჯი ფხოველმა მითხრა, რომ ფშაურ მითოლოგიაში, კენტავრს ვირდევს ეძახიან.



მათ ჰქონდათ  
 ლურჯი თავი და ტანნახევარი კაცისა,  
 სახედრის ლეგა წელ-გავით დასრულებული.  
 პაპებისგან მონაყოლით,  
 უბისთავისა და მირინაულის ტყეებში დაშლივინობდნენ  
 და თეთრახევაზე ჩამოდიოდნენ  
 დღე-ღამის გასაყარზე  
 წყლის დასაღევად.  
 ეს უნახავს ერთ ხევისბერს,  
 როცა კარატის ჯვრიდან  
 მეხდაკრული შვილის ცხედარს მოასვენებდა,  
 და ხევისპირ მოსულს  
 მუხლის ჩახრა თუ მოყრა უნებებია...

\*\*\*  
 ბოლოს სათქმელი მომიღებს  
 ზემოთ ვერ ამოტანილი.  
 სისხლით სამყაროს ომი ლებს  
 ჩემს თავთან გადატანილი.  
 მოგვკვდები, მოზიბინდება  
 ნაჩემთავარზე მწვანელი.

**ყოფიარების ასატანი სიმკიმი**

მექანიკურ მონყოლობასავით გვამუშავებენ —  
 სულის გამგე კუჭში ერთ ჯამ აჯაფსანდალს ასხამს,  
 თავს ახურავს და ამბობს:  
 „აჰა, ამას ხვალამდე აღარაფერი ენდომება,  
 კარგად იმუშავებს...“.

\*\*\*  
 თმაში გამიჩნდა ვერცხლი,  
 ჯიბეში ისევ — არა...  
 უკვე მინავლდა ცეცხლი,  
 ცხოვრებამ ჩაიარა...

\*\*\*  
 მოკალი კადევერინი\*.  
 პერიოდული შიმშილით,  
 იოგას ვარჯიშითა და  
 ნაწლავების რეგულარული წმენდით მოკალი.  
 ოლონდ ეს ყველაფერი ისე გეზარება —  
 მზად ხარ, ჰუმანური გახდე  
 და სიკვდილის ემისარი შეინყალო  
 საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე...

\*კადევერინი — ლპობის ბაცილა.

\*\*\*  
 სკეფსისი — სულის სეფსისი.

**გადაგდებული ბიჩოკის მონოლოგი**

ხელებიც არ მაქვს  
 დაბლა ვარდნისას,  
 პოეტით რომ განზე გაეშალო.  
 ვითომ ფრთები.  
 ჩემს ტრაგედიას მოკედლებია  
 ქვემოდან მზირალ თვალების ჯოგი  
 (ჰმ, რა მარტივად უყურებს ზოგი  
 სხვათა მიმავალ... ჩავლილ ცხოვრებას).  
 მკვდარსა და ჩამქრალს სადაც მნახავენ,  
 უნიგნურობას სწამებენ მთელ ერს.  
 და თუ პოეტი ნახეს შემთხვევით,  
 მარტის ასფალტზე შუბლით დახლილი,  
 ეს კულტურული აქტია მხოლოდ.  
 ჰოდა, ავითრევე წელს მეც ძალღივით  
 და ნაგვის ყუთში ჩავენვები ბოლოს —  
 ოლონდ კი ერი გადავარჩინო...

\*\*\*  
 ნუ გგონია, რომ შენ გვერდში მყოფი ქალი  
 პოეტად გცნობს, რამდენი ლექსიც არ უნდა დაწერო.  
 მას უნდა, რომ ღამის 1-ზე მეზობლის ხმაური გააჩერო  
 და მისთვის უკვდავი კლასიკოსი გახდები.  
 იმავე ღამით  
 ქრესტომათიის შედგენაშიც დაგეხმარება...

\*\*\*  
 ნლობით ნაფიქრი,  
 გულში ჩამწყვდეული,  
 ამოიყვანა და  
 სიშიშველ სიტყვებით დაუფარა.  
 მეტად საზარი რომ არ ყოფილიყო  
 პირველადი აზრის რაობა...

\*\*\*  
 მოციქულ ლუკას კარნახით  
 ტილოს წერს ლუკას კარნახი...

\*\*\*  
 ცხადად დავინახე —  
 მეზობლის ცოლმა სარეცხთან ერთად  
 მეთე მცნება და ერთი ქართული ანდაზაც გაფინა...

\*\*\*  
 წყევლაშეკავებულმა დედაჩემმა  
 (იცის, როგორ მზაფრავს)  
 ისე (ესლა) მომძახა: „დაიკარგე, დაიკარგეო“,  
 თითქოს თვითონ არ მოვეყვანე დასაკარგავიდან...

\*\*\*  
 თვალეში მოგაშტერდი და თითქოს  
 საკუთარი სახლის ფანჯრებში შემოვიხედე...

\*\*\*  
 მოიცა, კაცო,  
 არ გამცდე,  
 პალტოს სახელოზე გავები  
 ერთ სწრაფად მიმავალ ფიქრს...

\*\*\*  
 სხეულს მარტო ველარ ვზიდავ,  
 ღმერთო, ნეკნი მომაკელი...

\*\*\*  
 გადაჭრილი ადამიანივით იდგა ბავშვი კუთხეში  
 და ელოდა, თავს ვინ მოაბამდა  
 მის გაუაზრებლად დაწყებულ საქმეს.

\*\*\*  
 აი, რაღაც მძლავრი განცდა რომ ამიტანს,  
 ისე მგონია,  
 ფეხმორთხმით მჯდარი ღმერთი წამოიმართა...

\*\*\*  
 ჩვენი მკვდარი სიყვარული რომ არ აყროლებულიყო,  
 ძვლებამდე დავწვი...

\*\*\*  
 ადამიანებში აბსოლუტურ სიყვარულს ვეძებ და  
 რომ ვერ ვპოულობ, გული ვარსკვლავით მწყდება...

\*\*\*  
 გელაპარაკებოდა და ისე ახელდა თვალებს,  
 პირდაპირ სულში გადაყავდი ფართო შარათი...

\*\*\*  
 საღი აზრის დაღი აზის...

\*\*\*  
 ხალხში იმიტო არ ვჩნდები,  
 მრცხვენია ჩემი ნიღბების,  
 ჩემივე თავთან დავრჩები,  
 მჩხიბავი სულთა მიღებების.

\*\*\*  
 ბევრი მეტაფორა ერთ ტექსტში რისი მაქნისია?  
 მეტაფორა ისაა,  
 თხრობის მდორე,  
 თანაბარი დინების კალაპოტში  
 ფეხი უცებ რომ ჩაგვივარდება...

\*\*\*  
 სულამომდინარენი ჩემ გვერდით ნუ დაჯდებით,  
 რადგან ჩემი სული  
 ორთქლივით კი არ ამოდის სხეულიდან,  
 ჩემს შიგნით ეშვება და სადღაც სიღრმეში ვარდება...

\*\*\*  
 აქ სიმკვდრეთია. არავინ სუნთქავს.  
 მხოლოდ ირხევა ვერხვის ფოთოლი.  
 ამის შესახებ არავის უთქვამს,  
 როდესაც ჩემი სული მოთოვა  
 ცამ და შეიკრა პირი დიდი ხნით...  
 თითქოს ნანობდა დაცდენილ ბგერას.  
 მას მერე სიზმრებს სულ შეცდომით ვხსნი,  
 როგორც მაცეტროს შემლილ სიმღერას...

\*\*\*  
 ერთხელაც დაიძინა ასე დიდ განცდებში  
 და აღარ გაუღვიძია.  
 შინ დაბრუნდა...

\*\*\*  
 ბევრ ნიღბს ვირგებ ცხოვრებაში  
 სიმამაცისასაც.  
 ოლონდ ამას იშვიათად.  
 რადგან შეიძლება მერე სხვები ველარ მოვირგო...

\*\*\*  
 ხშირად ღმერთით კაცისგან  
 ღვთის უარყოფა გვწყინს.  
 თავის თავზე ხომ არ მიგვანიშნებს,  
 ხომ არ იტყვის, ვარსებობო?!

\*\*\*  
 მომაჯადოვა ამ ქალმა,  
 როგორც ფრიადმა სამკალმა,  
 როგორც ყანაში ქარის დროს  
 ამიყოლია კანკალმა.

\*\*\*  
 ღმერთმა ადამი  
 ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ პერიოდიზაციამდე  
 შექმნა,

რადგან არ გამოუყენებია  
 1-ელი საფეხურის იარაღიც კი —  
 ქვა...

\*\*\*  
 იქ სიყვარული წაიღე,  
 სამარადისო საგზალი,  
 სამზეო გაჩერება  
 გამოთხოვების ვაგზალი.

\*\*\*  
 მე შემიძლია მაგარი ლექსის დაწერა,  
 მაგრამ სუნთქვის შეკვრისა და  
 საკუთარ სულში ჩაყვინთვის მეშინია.

\*\*\*  
 სულ სამი წუთი ვუყურებდი, მასზე ფიქრებმა  
 სად არ წამილო, ალბათ ზეცის დასალიერთან...  
 როცა ჩავიდა, კართან მდგომი სკამის მაგივრად  
 მთელი ვაგონი ერთიანად დაცალიერდა.

\*\*\*  
 დროდადრო სიძვის დემონს ვაღვიძებ:  
 ადე, დემონო, ქალებში წავიდეთ...

\*\*\*  
 ცხოვრების ქარი რომ დაუბერავს,  
 ის ცხვირსახოცი მაინც ვერ უნდა გაგაგდებინოს,  
 რომლითაც სიმწრის ოფლს იხოცავ.

\*\*\*  
 ორი ღერი შემა მიჰქონდა —  
 15 წუთის ცეცხლი ხელში ეკავა...

\*\*\*  
 ღიმილი გააპარა ოთახის კუთხისკენ  
 და ასე ეგონა,  
 ქალი გაათხოვა ქვეყნის დასალიერში.

\*\*\*  
 და რადგან მიაქვს კაცის დრო ვნებას,  
 ის ველარ ასწრებს გაცისკროვნებას...

\*\*\*  
 როცა მოგვკვდები,  
 თქვენგან ამის თქმა მისანთლებს შავეთში:  
 მის სიტყვას ძალა ჰქონდა!

\*\*\*  
 ხომ არ იყო ჟამთააღმწერელი  
 20 წლის ბიჭი მონლოლთა შემოსვლისას.  
 ხოლო ბრწყინვალის ტახტზე ასვლისას  
 120 წლის მოხუცი,  
 როცა საბოლოოდ დადო კალამი?..

\*\*\*  
 თუ ქუჩაში ქალი მოგენონათ,  
 რომელიც კალიასკით ბავშვს ასეირნებს,  
 და თვალი ვერ მოაცილეთ,  
 გადადით ტროტუარიდან  
 და ბორდიურს იქიდან განაგრძეთ ცქერა,  
 როგორც დედა კენგურუსი ვოლიერს მიღმა.

19 ივლისი, ხუთშაბათი

ორთაჭალის სადგურიდან ლამის პირველ საათზე გავიდა ფირმა „მეტროს“ ავტობუსით. ეს კომფორტული ტრანსპორტი და თურქების ფირმას ეკუთვნის.

მოლარემ მითხრა, რომ ექვსსაათიანი ვაჭარში ვიქნებოდით ბათუმში.

ავტობუსს დიდი საბარგული აქვს, ოთახივით, და იქ ჩააწყობენ ბლანჭებიან და შავილეტიანმა გამცილებელმა მგ ზაფრების ბარგი, ჩანთები, გორგოლაჭებზე ხობილა ჩემოდნები, თან ნომრებსაც იძლეოდა.

ავტობუსის სავარძლებს უკანა ზურგზე ტელეეკრანები აქვს დამონტაჟებული. დავიძარით თუ არა, ჩაირთო. ბევრი აპლიკაცია ჰქონდა — კლიპები, მუსიკა, ფილმები, ინტერნეტი, ლაპარაკი, თამაშები (რუსულად). მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მუშაობდა.

მე Angry Birds<sup>1</sup>-ის რამდენიმე გეიმი ვითამაშე — ფრინველი უნდა ესროლო სხვადასხვანაირად განლაგებულ ღორებს, რომლებიც ღრუტუნებენ. ქვასროლიასავით რამეა — ფრინველს ჩადებ სასროლში, მოჭიმავ რეზინებს, გაუშვებ და, აი, ესე ესვრი. თუ ზუსტად მოარტყი, ფეთქებიან ღორები, მერე კი ქულები გენერება.

ეს თამაში მალე მომწყინდა, თუმცა რამდენიმე საათში მოსალოდნელმა ზღვამ მიშველა. უკვე ძალიან მენატრებოდა.

გზაში გამცილებელმა ჩამოატარა სასმელები — მე ყავა ვუთხარი, სხვებმა ჩაი და ზოგმაც — წვენი.

ყავა რომ დავლიე, მალე მომინდა გადაფხვრიალება.

გაჩერება ზესტაფონში იქნებო, ამრეზით მითხრა გამცილებელმა. იქამდე რა მოითმენდა, მძღოლს ვთხოვე, გავაჩერებინე ავტობუსი. არ გამიქციო შენ ახლა ეს ხალხი, არ თქვა, სად მიდიხარო. კი, ვითომ ცუდად გავხდი-მეთქი. არა, ეგ არა, სულ არაფერი თქვაო. ავტობუსის უკან მიმდგარმა მოვილიე ეს საქმე, ავედი ისევ და გავაგრძელეთ გზა.

ზესტაფონში რომ ჩავედი, კიდეც მინდოდა და ეგრევე ორმოცდაათთერთიან ტუალეტში ვკარი თავი. ეს მალ-მალე სირბილი რაღაცა ავადმყოფობის ნიშანია და, ალბათ, გაციების მერე დამრჩა, რაკი ექიმთან ვერ მივსულვარ...

იქიდან რომ გამოვედი, პორტსიგარი გავხსენი და ერთი ღერი სიგარეტი მქონდა დარჩენილი, მაგრამ ვილაც თანამგზავრმა ქალმა მიხოვა და მე ისე დავდარჩი. ჩანთაში კი მქონდა ნაღებული მარაგი, მაგრამ ის ჩანთა ხომ ავტობუსის ოთახივით საბარგულში იყო და ვერ გავახსენებინებდი ამ ჩვენ გამცილებელს, იმ თავის ბლანჭე-წვერს ამაყად რომ დაყვებოდა ავტობუსის შორი-ახლოს.


იქვე, სადგურში, მარკეტი ყოფილიყო და „ჩესტერფილდი“ ვიყიდე, ხუთი ლარიდან ცოტა ზურდის დაბრუნებით.

მთავარ შესასვლელში რომ შეხვიდოდი, დარბაზი იყო, რომლის განაკიდებზე ერთი ლამენათევობით თვალმდინილუბული ბიჭი გახურებულ ქვიშაში ხარშავდა ყავას, ფინჯანს ორ ლარად. გავაკეთებინე და გარეთ გამოვედი. თან ყავას ვსვამდი მუყაოს ჭიქიდან და თან სიგარეტს ვენეოდი, კარგია „ჩესტერფილდი“ ზესტაფონში, გათენებისას, ლამპიონებითა და დარბაზებთან გამოსული შუქებით განათებულ, ავტობუსებით და მგ ზაფრებით სავსე მოედანზე, ტრასის პირზე, სადაც მამლების ყივილიც აღწევს შორიდან და აზიზობებული, მობარბაქე ღამე ფართხალით დაფავს სულს... მერე მოვიდა ავტობუსი ბათუმიდან, შემოუხვია ზესტაფონის სადგურის მოედანზე, გაჩერდა და ცოტა ხანში მგ ზაფრებმა ჩამოსვლა დაიწყეს.

კვლავაც ტუალეტში რომ შევედი, პირში წყლის გამოსავლებად, ყავის ნამცეცების მოსაშორებლად, ბაშარის ბიძაშვილმა, ნიკამ მიცნო შორიდანვე, მომიახლოვდა და ჩუმად ჩამილაპარაკა — „კენვუდი“!

ეს „კენვუდი“ ჩემი მეტსახელია, „ლარაკეკავას“<sup>2</sup> სპეცოპერაციისას<sup>3</sup> მალსახმობი რაცია **Kenwood**<sup>3</sup> მქონდა და მაგიტომ შემარქვა ჯერ ჩემმა ძმაკაცმა ბაშარ ვანილიშმა და მერე თიელმა ჩვენმა სპეცრაზმა... ამ რამდენიმე წლის წინათ დივერსანტების ათკაციანი რაზმი გადმოვიდა მდინარე კოდორის ხეობის ზემო ნაწილში, სოფელ მარჯენა გენვიშთან, სადაც მდინარეების — საკენისა და გვანდრის — შეერ-

თებით იწყება მდინარე კოდორი და მოძრაობა განაგრძობს მდინარე ლარაკეკავას ხეობით, ესეც კოდორის შენაკადია, მარჯვენა — იმ მშენებარე გზის ასაფეთქებლად, რომელიც ბარის საქართველოს აკავშირებდა კოდორის ხეობის ზედა, მიუვალ ნაწილთან. ჩვენი ოცკაციანი სპეცდანიყოფი 17 სექტემბრის დილის რვის ნახევარზე გავიდა მათ გასანეიტრალებლად, დაახლოებით ორი საათი ვიარეთ ლარაკეკავას ხეობაში და ერთ ტყისშორის მდელის მივადექით, სადაც ორ ათ-ათ კაციან ჯგუფად დავიყავით: პირველმა იმ პატარა მინდორს ჩრდილოეთიდან შემოუარა, მეორემ — სამხრეთიდან. მე პირველ ჯგუფში ვიყავი. მალე სამი შეიარაღებული პირი ავიყვანეთ, გასროლების გარეშე დაგვებდნენ. იმათგან გავიგეთ, რომ კიდევე შვიდი დივერსანტი იყო ახლოს. მოძრაობა გავაგრძელეთ




ფრთხილად და მალევე შევნიშნეთ ჩასაფრებული მონინაღმდგის მებრძოლები. ჩვენი მეორე ჯგუფის გასაფრთხილებად ცეცხლი გავხსენით. საპასუხო სროლით გართულმა დივერსანტებმა ვერ შეამჩნიეს ჩრდილოეთიდან მეორე ჯგუფის მოახლოება და იქიდანაც რომ სროლა ატყდა, მიხვდნენ, უკვე ალყაში იყვნენ. ჩვენმა მეთაურმა ცეცხლის შეწყვეტა გვიბრძანა და მონინაღმდგეს დაუძახა, დაეყარათ იარაღი და ჩავგებარებოდნენ, რასაც შედეგად ხელახლა ცეცხლის გახსნა მოყვა იმათი მხრიდან. ამჯერად გვესროდნენ როგორც ავტომატებიდან, ასევე მუხებიდან. შეტაკებისას ორი ჩვენიანი დაიჭრა, ერთი მარჯვენა მხარში და მეორეს კოჭი ისე დაუშხვრია ყუმბარის ანასხლეტებმა, მერე მოსაჭრელი გაუხდა, ხოლო მონინაღმდგე მხრიდან — რუსეთის სამხედრო ძალების და მაშინ აფხაზების მიერ დაქირავებული ორი ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი გუსავატკინი ერთადერთი ტყვიანი თვალმდინილი და მაიორი გუდკოვი კიდეც ყელში მოხვდნენ ავტომატის ტყვიების ჯვრით მოვკალით, დანარჩენი ხუთი მებრძოლი ტყვედ ავიყვანეთ. დივერსანტების ამ რაზმს შეიარაღებაში აღმოაჩნდა: კალაშნიკოვი-74 სისტემის რვა ავტომატი, აღჭურვილი ნაღმტყორცები; კალაშნიკოვის სისტემის ერთი ტყვიამფრქვევი; ხუთი ცალი ერთჯერადი რეაქტიული ყუმბარმტყორცნი მუხა; სხვადასხვა ტიპის თხუთმეტხეულყუმბარა. პოდპოლკოვნიკ გუსავატკინს სტეკინის, ხოლო მაიორ გუდკოვს — იარიგინის პისტოლეტები ჰქონდათ.

ის მოკლულები მალევე გადასცა ქართულმა მხარემ სეპარატისტული აფხაზეთის ნარმომადგენლებს და არც ტყვეების დაბრუნება დაუხანებია, მაგრამ რაკი „ლარაკეკავას სპეცოპერაციას“<sup>4</sup> საერთაშორისო გამოსხმარება მოყვა, რუსეთი ჩვენი სპეცნაწილის დასჯას ითხოვდა, ირწმუნებოდა, რომ ჩვენ გადავედით ტყვარჩელში და იქ განლაგებულ მესაზღვრეთა ბანაკს თავს დავეხსით. ჩვენი ხელისუფლება ამ მოთხოვნას არ ასრულებდა და სწორედ მაშინ იყო, რომ რუსმა აგენტებმა და, როგორც მამინდელი გამომიხიბა და დავინდა, მათ-

მა დაქირავებულმა მოლაღატებმა შური-სძიების მიზნით მაიორი ზურაბ კ. აფეთქეს საკუთარ მანქანაში... ამით დაიწყო შურისძიებების სერია მთელ ჩვენ ოცეულზე.

იტაცებდნენ სპეცრაზმელებს და მოითხოვდნენ ყალბი ჩვენების მიცემას — თითქოს აფხაზი დივერსანტების რაზმი კი არ იყო გადმოსული საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გზის ასაფეთქებლად, არამედ ჩვენ ვიყავით გადასული აფხაზეთის ტერიტორიაზე, ტყვარჩელში, და იქ განლაგებულ სასაზღვრო ჯარის ოცეულზე თავდასხმა, ზედაც ორი ოფიცრის მკვლელობა უნდა გველიარებინა... დაკითხვები მიმდინარეობდა ფარულად და ნამების რუსული მეთოდებით, თუმცა ჩვენი სპეცრაზმელების უმეტესობა გაუტყებელი გამოდგა და მათგან სასურველ ჩვენებებს რომ ვერ ლებულობდნენ, მე-



რე იწყებდნენ ფსიქოტროპული თუ სხვა სახითაო მედიკამენტებით ზემოქმედებას, რასაც ჩვენები ვეღარ უძლებდნენ და კედებოდნენ, რის მიზეზადაც გულის შეტყევა, მაღალი წნევა, თრომბოზი და ამგვარი დაუჯერებლად ბანალური ავადმყოფობები სახელდებოდა. გარდა ამისა, ჩვენებს ჯერ სახელს უტეხდნენ სხვადასხვა მიმიმდინარე მკვლელობის დაბრალებით ტელევიზიებიდან თუ პრესიდან და საკმაოდ რომ გააშავებდნენ საზოგადოების თვალში, მერე დაკვეთით ხოცავდნენ ციხეებში, აფეთქებდნენ სამარშრუტო ტაქსებში და სახლებსა თუ სამსახურის შენობებში, თვითმკვლელობებად ასალებდნენ მკვლელობებს... ამჟამად იმ ჩვენი სპეცოპერაცია „ლარაკეკავას“ ერთი მონაწილე ახალი დაპატიმრებულია, შვიდი გაქცეულია საქართველოდან, შვიდი კი გარდაცვლილია საეჭვო გარემოებებში, ამათგან ჩვენი გაუტყებელი მეთაური ვითოჯი უსასტიკესი ნამების შედეგად, მოკლულ ნარკოტიკული ზედოზირებით და, ალბათ, დანარჩენი ოთხი კიდე გადაბირებულია...

მთელი ჩვენი სპეცრაზმიდან მელა დავრჩი და უკვე ქალების სერიულ მკვლელ „კუმისის ტბის მანიაკად“ მოვიხსენიებ „ზოგ-ზოგ ტელევიზიას და ყვითელ პრესაში. ესეთი მანიაკები ხომ უფრო ქალების უყურადღებობით დაკომპლექსებული ტიპები არიან ხოლმე, არადა, ვინც მიცნობს, კარგად იცის, მე ქალები კი არ მაკლდა, სრულიად პირიქით იყო — ისინი ჩემ მიმართ ისეთ ყურადღებას იჩენდნენ, რომ ხშირად გასაქცევი თუ დასამალი ვხდებოდი, რასაც ყოველთვის ვერ ვუძლებდი და ზოგჯერ ისტერიაშიც მივდიოდი...

აი, ესეთი სახელგატყებელი ვარ, რაც იმის დასტურია, რომ მთელი ეს დამპალი სისტემა ჩემზეა გადმორთული...

ამ ხუთიწლიან წლის წინათ ბაშარმა გაქცევა შემომთავაზა, ეგ ხომ სარფელია და — ჩემებმა თურქეთში უნდა გადამიყვანონ, ნამოდი მენცო — მაგრამ მაშინ მეტი-სმეტად მომეჩვენა მისი სიფრთხილე და უარი ვუთხარი, არ მეგონა, ასე დაუნდობლად თუ გავკრიმტებდნენ. გვიან მიხვდი, რომ ბაშარი მართალი იყო და მწარედ ვც-

დებოდი — ყველანი განწირულები ვიყავით, ვინც ლარაკეკავას სპეცოპერაციაში ვმონაწილეობდით...

ეს რამდენიმე წელიწადი, როგორც შემეძლო, თავს ვიცავდი, ვიმალებოდი სხვადასხვა მიკარგულ სოფელში, მიუვალ ტყე-სა თუ მთების მიუდგომელ იალალებზე მწყემსებთან, თუმცა ყოველთვის რაღაც ისეთი ნიშნები ჩნდებოდა, რომ სისტემა მომაგნებდა ხოლმე და იძულებულს მხდოდა, ახალ-ახალი სამალავები მომიძებნა.

ბოლოს კი, პრინციპით — სადაც ერთხელ ბოძო დაეცა და ორმო ამობრდუნა, იქ მეორე ბოძო აღარ ჩამოვარდებდა — გადავწყვიტე, იქ ჩავსულყავი, სადაც ზურაბ კ. აფეთქეს საკუთარ მანქანაში. მარტო ესეც არ იყო, ბაშარ ვანილიშთან სტუმრად დავდიოდი ხოლმე სარფში, იქაურები მიცნობდნენ და ამჟამად თურქეთის ერთ-ერთ სოფელში დასახლებულ ბაშარს ჩემი თხოვნა შევუთვალე იქით ტურისტად მიმაგალი ერთი სანდო ადამიანის პირით — მეტი გზა აღარ დამრჩა, მაქვთ გადმოსვლა მინდა და მომეხმარე-მეთქი, ჯიმა ჩქიმი.

„კოჩი კოჩითენ, ლობერი მძგუჯითენ“<sup>4</sup> — „მარლბოროს“ კოლოფზე დაწერილი ეს ლაზური ანდაზა ჩამომიტანა თურქეთიდან დაბრუნებულმა იმ სანდო ადამიანმა და ხელნაწერს დავხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი, ვისიც იყო. ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში ოთხ წელიწადს ერთად ვსწავლობდით მე და ბაშარი, მერე ერთად გავხდით Second Lieutenant-ები და მაგის ბატისფეხურ ნაწერს, თავად თოლისფეხურს რომ ეძახის, მილიონში გამოვარჩევი. ეს ანდაზა კიდეც მაშინ მასწავლა, როცა პირიქითა ხევსურეთში მყავდა წაყვანილი, წყალსიკითის თემის სოფელ ბლოსთან მდებარე მუხის გორგის ჯვარის საროცავში, რომელიც ჩემი გვარის სულ პიროველი და უმთავრესი სალოცავია. იქ ამოსულები-სგან გაიგონა, რომ მთელ ხევსურეთში ყველაზე ფიცხები გიგაურები ვართ და აუტყდა სიცილი — ამ ჩემს ვანილიშზე არანაკლები გიჟი ყოფილხარ შენცო.

მოკლედ, ამ ნიკასთან შეხვედრა ზესტაფონის სადგურში რომ სულაც არ იყო შემთხვევითი, უკვე მიხვდებოდი. კაი ხნის უნახავები კი ვიყავით, მაგრამ მაინც ზურგშექცევით ვიდექით და ისე დავილაპარაკეთ: მოვიკითხეთ ოჯახები, საქმეზე კიდეც ის გავიგე, რომ, თურმე ბაშარი ჯერ ხოფაში იყო და იქაური ფელუკების ოსტატთან, უსტა სეიჰან ოზქანთან, ნავების კეთებას სწავლობდა, ეს ბოლო წლები კი გაღმა სარფში ცხოვრობს და თურქულად გადაკეთებული გვარით, ვანიოლი ყოფილა თურმე, აკეთებს ფელუკებს და სეზონზე ტურისტებიც გაჰყავს ზღვაში სასიეროდ და სათევზაოდ...

მერე დაკეცილი ფურცელი შეუმჩნევლად რომ ჩამიდო ნიკამ ჯიბეში, მინდოდა, სერგო ბ.-ზე მეკითხა რამე, როგორ გარდაიცვალა ციხის საავადმყოფოში ეს ჯანმრთელი და ნავარჯიშო ყოფილი სპეცრაზმელი და რანაირად აღმოაჩნდა უცვლად ციროზი, მაგრამ ჩვენი ავტობუსი ვაცვლას აპირებდა და ასიგნალებდა. თავიდანვე ხომ სულ ოცი წუთი მოგვცეს დრო.

ლიმილით გამოვემშვიდობე ნიკას, ავტობუსთან მივირბინე, ავედი თუ არა, კიდევე დავიძარით ბათუმისკენ და ნიკამ კიდევ მერე, ალბათ, თბილისისკენ განაგრძო გზა.

მე გამოთვლილი მქონდა, რომ ბათუმში უნდა ვყოფილიყავით შვიდის ნახევარზე და შემშლია, რვის ნახევარი გამოდის, ღამის პირველი საათიდან რომ გადმოვითვალთ ჩასვლის დრო.

გავგივინდა გზაში და გრიგოლეთიდან გადავხვით ახალ გზაზე. თურმე, ავტობუსები ქობულეთის ძველ, ვინრო გზაზე საერთოდ აღარ დადიან...

შევედით, როგორც იქნა, ბათუმში. გადაიშალა ზღვის ნაპირიდან ქალაქი თავისი ახლად აგებული მაღლივი შენობებით ძალიან ლამაზად და ეს მზიანი დილაც ისე ძალიან უხდებოდა და ამან იმდენი რამე გამახსენა, რომ კინაღამ ავტირდი.

ბარცხანას ჩაუვარეთ და შევედით ბათუმში. მძღოლმა ძველი პორტის მახლობლად გააჩერა ავტობუსი და მგ ზაფრებმა დაიწყეს ჩასვლა.

ამდენ მგ ზაფრში ვინმე ხომ არ მყავდა ადევნებული, ამაზე აღარც ვფიქრობდი, ამო გარჯა, მაგრამ მაინც ეშმაკს თუ სისტემას ხომ არა სძინავს ხოლმე და — მე მომდევნო ჩამოვივარ-მეთქი, ავტოსადგურში — ხმამაღლა ეს მქონდა ნათქვამი

გამცილებლისათვის, ყველას გასაგონად და უცებ აქ ჩავეყრი, ჩემი ჩანთა გამოვარ-თვი გახსნილ საბარგულთან მდგომ გამ-ცილებელს და დავაკვირდი, ვინმე ხომ არ ჩამომყვია, თუმცა ვერაფერს შევნიშნე. ჩვეუ-ლებრივ მგზავრებს ჰგავდნენ ჩემზე წინ ჩამოსულელები.

მერე ტაქსის მძღოლმა მითხრა გზაში — თურმე, უკან ბრუნდება ავტობუსი ახალ გზაზე და იქა ავტოსადგური, იქიდან კიდევ საზღვრისპირა სოფლამდე (ბაშარის რეკომენდაცია ისეთი იყო, რომ პირდაპირ სარფში კი არა, სულ სხვა სოფელში უნდა ჩავსულიყავი) ეს ოცი ლარი არ გეყოფო-დაო. ამიტომ, სჯობდა, აქ რომ ჩამოხვე-დიო.

მივედი საზღვრისპირა სოფელში, იქაურ გამვლელებში ვიკითხე სასტუმრო „ოლეანდრი“, მიმასწავლეს — ტრასიდან აღმართზე, ტყიან გორაკებზე ადის გზაო, და აღმართში კაი ხნის სიარულისას მძღ-ოლმა წუნწინ დაიწყო — აქ სად ყოფილა, ხუთი ლარი უნდა დამიმატო.

ჯანდაბას, დავუმატე. მერე სასტუმრო „ოლეანდრის“ შესასვლელთან ჩამოსულ-მა ტაქსი გავაცილე და იქ არ შევსულვარ, ჩემი ჩანთა გადავიკვიდე მხარზე და ფეხით ავედი სულ სხვა სასტუმრომდე, რომელ-იც ნიკას გადმოცემულ ფურცელზე ეწერა: „სასტუმრო „კაბარია“, იონან ლაზის ქუჩა 17“, პატრონი ბაშარის დეიდაშვილია, ალ-ესტა ჰქვია და გვარად ვაბარიაა სწორედ, ვანილიშების განაყოფა მაგი გვარიც, რომ იცოდეთ მაინც უნდა...“

სასტუმროს მისაღებში რომ შევედი, კარზე მიმაგრებულმა ზარმა წკარუნ დაი-წყო და მაშინვე თვლი გამექცა კედლები-სკენ, რომლებიც ხეზე ნაჭრევი ლაზური ორნამენტებით იყო მოფენილი, სიცოცხ-ლის ხით თუ ბორჯღაღლებითა და დედაბო-ძების სხვა სამშვენივრებით. მერე და დავი-ნახე, რომ კუთხეში მიდგომულ მაგიდაზე ირიბად დადგმულ ხის დაფას უჯდა ქერ-ათმიანი და ლამაზი ქალი, ზედ მორიგ ორ-ნამენტს ჭრიდა საკვეთელით და შემოსას-ვლელი კარის ზარმა რომ წკარუნ დაას-რულა, მერე და გამოხედა.

მონყენილი და სვედიანი ჩანდა ალეს-ტა, მშვიდად შემომყურებდა ზღვისფერი თვალებით, მაგრამ როგორც კი ჩემი წარ-წერიანი ფურცელი ვაჩვენე, იმ თვალების ზღვებში თოლიები მოუფრინდნენ თავისე-ბური მოძახილით, ცქციუნდა ნამოდგა, მო-ხდენილად გამიძვდა და მომცა ორკაციანი ნომერი, თავისი აივნით, რომელიც პატარა ტერასას ებმის, სადაც პალმებია ჩარგუ-ლი სამ-სამად და რო რამე, მეზობელ ეზო-შიც შეიძლება გადახტომა. ნომერში არის: ინტერნეტი WI-FI, ტელევიზია, გათბობა, კონდიციონერა, მაცივარი, თმის საშრობი, მადულარა. მომსახურება: დილის საუზმე, გაღვიძების სერვისი, დაუთოება, სამრეცხ-აო, უფასო პარკინგი, ტრანსფერი/დახვე-დრა. აქეთ ღია საცურაო აუზი. ამ ულამაზ-ეს გარემოს ლურჯი მოზაიკით განწყობილი აუზი და სვეტები განსაკუთრებულ და ეგ-ზოტიკურ სილამაზეს ანიჭებსო — ცნო-ბარში უწერიათ.

„კაბარიას“ ტერასიდან რომ გაიხედავ, ზღვა ჩანს ვრცლად, ხოლო სანაპიროს სი-გრძიდ მიუყვება ტრასა, რომელიც ბათუ-მიდან გამომდის სარფისკენ და მერე, უკვე თურქეთის ტერიტორიაზე, გალმა სარფში გადადის.

ამ გზის მარჯვნივ ტყიანი ქედი ეშვება და მარცხნივ კიდევ — ჯერ სოფლის ორ-სართულიანი და კორპუსის სახლებია, მერე პლაჟი და ზღვა, რომელიც მზის ამოსვლ-იდან ჩასვლამდე სულ ფერებს იცვლის.

ლამენათევი და დაღლილი კი ვიყავი, ავტობუსში რა დამაძინებდა, მაგრამ მაინც ჩავედი ზღვაზე — განა არ ვიცი, რომ სულ მარტო დავრჩი მთელ დუნიაზე და სისტე-მას დიდხანს სად დავემალე, მაგრამ უკ-ვე ძალიან დავიღალე ამ აქა-იქ ნონიალით და სანამ მომაგნებენ, ჯერ კიდევ მაქვს ცო-ტა დრო, ალბათ...

ზღვასთან მარტო უნდა დარჩე, ისე მა-რტო, რომ თავად შენც კი ზედმეტი იყო, ისე ზედმეტი, სულაც რომ გაქრე და, აი, მაშინ იქნებ დაგელოპარაკოს კიდევ ზღვა — ნეტავი ეს ვინ არის, სულ რომ გაქრაო... არადა, მარტო როგორ, როცა მთელი დღე ირუჯებოდნენ აქ დამსვენებლები.

რამდენჯერმე შევეცურე ზღვაში. ვითომ ხომ ძალიან არ ღელავდა, მაგრამ მეცხრე ტალღა ცოტა უფრო ძლიერი მოდიოდა, ზურგზე დანოლილს და ხელებგამლილს

არ მაძინებდა, სახეზე გადამივლიდა მლაშე წყალი და თან გაიყოლიებდა ხოლმე თეთ-რად აბრწყინებულ შხეფებს.

გამოვიდოდი და ისევ ქვიშაზე გამლილ პირსახოცზე ვწვებოდი.

ქოლგა და შეზლონგი არ ამიღია და პი-რდაპირ ქვებზე ვინეცი.

იქვე პლაჟთან არის ბუნგალო, სახელად Seashells<sup>6</sup> — ჩალით გადახურული და შიგ-ნით ლამაზად მორთული. მადლიერი კლი-ენტების წარწერები აკრავს ერთ ბოძს.

კედლებზე და სვეტებზე სურათებია — ზებრების, ჯონ ლენონის, კატის, სოფია ლორენის, თუთიყუშის თუ პაკო დე ლუსია-სი — და სხვა ც ბევრი...

ერთი სარკის წინ ჩამოკიდებულ სომ-ბეროში ნათურაა ჩასმული და სარკეს აწ-ერია ზემოთ — „მაჩვენე რაზნიცა“. მზით გარუჯვისას რომ გაურუჯავი ადგილები გრჩება, იმ სხვაობაზეა ლაპარაკი.

მეჩივ აქეთ მხიარული: „ისეთი სენდვი-ჩი, მხოლოდ დედა რომ მოგიზადებს“ და ესეთ სტილში მხიარულად ჩამოთვლილი კერძები.

ვჭამე „მეგობრის გამასპინძლებული“ აჭარული ხაჭაპური, მომზადებული შებო-ლილი სულგუნი და ძალიან გემრიელი, მერე მალაზიაში ვიყიდე ყავის პაკეტები და სალამოს ზღვის დაბინდული სილამაზე აღვნიშნე პლასტმასის ჭიქაში დასხმული ყავის მონრუპვით. არაყი ან რამე მაგარი სასმელი როგორ არ მიწოდდა, შემეძლო, მალაზიიდან ნამომლოდ ამ მერე მეთხოვა ალესტასთვის, მაგრამ ისეთ მდგომარეო-ბაში ვიყავი, ყოველ წუთს ველოდი ჩემს ასაყვანად მოსულებს და ვითმენდი... ვს-ვამდი კოლუმბიურ ყავას და თან ციანიდ-ის ამპულაზე ვფიქრობდი, რომელიც რო-გორ ჩამვივარდა ხელში, არ ვიტყვი, ერთ-ერთი სერიოზული დანესტებულების სიმპა-თიური ლაბორანტი ქალია გარეული ამ საქმეში, მაგრამ სულ თან დამქონდა — ცოცხლად მაინც არ ჩავბარდებოდი და ნამებით სიკვდილს გადავრჩებოდი.

მერე წვიმაც წამოვიდა და ღამეგადა-ფენილი ზღვის შავ ფონზე მოჩანდა სას-ტუმროს ტერასის პალმები, განათებული პროექტორების შუქებით... და მეთქი — უკენვუდ-ურაციო სეკონდ ლიტენენტო აბიკა გიგაურო, იგივე ძმაო ჩემო და ჩემი ჯიმაია „კენვუდ“ — საკუთ-არ თავს ვუთხარი — ესეც უნდა დაიმასხ-ორო, რა იცი, რა ხდება... რადგან „მეთქ-ის“ მაგივრად სულ „თქო“-ებით და კიდევ უამრავი შეცდომით მოლაპარაკე ჩვენი ტელევიზიების დახეობრებული ქართულ-ით რომ ვთქვა — შენი თავსებადობა მო-მავალთან ვერაფრით ვერა-თქო...

### 20 ივლისი, პარასკევი

დღეს ცუდად გაფარებული ფარდიდან შემოპარულმა მზის სხივმა გამაღვიძა. დი-ლის საუზმედ უგემრიელესი კაიმალი გამ-ასინჯა ალესტამ, მთიანი აჭარის სოფელ გეგელიძეებიდან ჩემს ნათესავებს ჩამო-აქეთ ამ სასტუმროსთვისო, მერე საქმეზე დალაპარაკება, დილის ყავა და სიგარეტ-იც იყო ზემო ტერასაზე, გადაშლილი ზღ-ვის თვალირებით. თან საგანგებოდ წამო-ღებული „ქენონის“ აპარატი მქონდა, ყვე-ლნათვის ფოტოგრაფად უნდა მომეჩვენე-ბინა თავი და წავივარჯიშე, ჩვენი აივნიდან გადავიღე ზღვა — სამასი-ოთხასი მეტრის სიმაღლიდან რომ უყურებ, უფრო ვრცლად სანახავია ხოლმე ჰორიზონტამდე გადაშ-ლილი ზღვა და იმისი ნაწილი გგონია თავი.

დალმა რომ იყო, ამდენი ვერ დაინახავ-დიო — ალესტამ მითხრა — აქ უფრო სინ-ყნარეა, განსხვავებით ზღვის ნაპირისგან, სადაც პლაჟი დამსვენებლებით და მათი მოყრიაშულე შვილებით ივსება ხოლმეო. მერე ჩანთაში ჩავაწყე პირსახოცი, სა-ცურაო ტრუსი, მზის სანინალმდეგო მალ-ამო, კისერზე „ქენონი“ ჩამოვიკიდე და ფე-ხით დავუყვიე თეთრ ეკვალიპტებში და სუ-ბტროპიკულ ყვავილებში მიმოხვეულად დალმა სავალ გზას...

მივივარ, მიუყვები მოსახვევებს, თან ფოტოებს ვიღებ.

გზაში გადაამასწრო რუსების ოჯახმა — წინ სათვალისი და დაკუნთულ-ნავარჯი-შევი მამრი მიქრის ჩქარი ნაბიჯით და ქერა თავით. უკან ჩაპუტკუნებული ბიჭუნა მის-დევს დუნდრუც-დუნდრუც და ბოლოს ცოლი და დედილო მიყვებათ უშველებე-ლი გავის ქნევა-ქნევით, ვეღარ ეწვიან და, „პამედლენინეე“-ო, შესძახებენ ხოლმე.

სანამ ტრასაზე გადავიდოდი, გზაში ვნახე და დავიმახსოვრე პატარა მდინარ-ის ორსავე მხარეზე დადგმული რესტორა-ნი-ბუნგალო, ჩალით გადახურული, ჩალ-ისვე კედლებიანი კუბებით და რა ერქვა, ვერ გავიგე, არსად არაფერი ეწერა.

სულ ქვემოთ რომ ჩავედი, ტრასა გა-დავიარე და მერე ეზოებზე გამავალი ბი-ლიკით გავედი პლაჟზე. მშობი და შევე-დი „ნიჟარებში“, შევუკვეთე ერთი მოხ-არშული სულგუნი ლაზურად და ესეც კარ-გი გამოდგა, ნოყიერი და გემრიელი.

მერე გამოვიდი ისევ პლაჟზე და, რო-გორც ალესტამ დამარია, გაქირავების კაცთან მივედი, ვინც შეზლონგებს და ქო-ლგებს აქირავებს თითოს ხუთ ლარად მთე-ლი დღით.

„კვარიათის სანაპიროზე, კერძოდ კი, ამ ლოდებთან, ცოტა ხნის, არა, დაახლოებით ამ ერთიოდე საათის უკან, ზღვიდან სანაპირო დაცვის კატარღით, ხმელეთიდან კი სპეციალური დანიშნულების ნაწილის მებრძოლებით ალყაში მოქცეულმა და, რასაკვირველია, აყვანის საფრთხის წინაშე აღმოჩენილმა, სავარაუდოდ, „კუ“-მისის ტბის მანიაკად“ ცნობილმა კრიმინალმა სიცოცხლე სუიციდით დაასრულა. და როგორც აქედან უკვე კაი ხნის წასულ სამთავრობო ტელეარხებს თავის დროზე აქ განუცხადეს ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა, ამ უაღრესად საშიში მანიაკის სინდისზე რამდენიმე ქალბატონის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი გაუპატიურება, მკვლელობა და ძარცვა, სხვაც უამრავი ამავე რიგისა და სიმძიმის სხვა დანაშაულიო. მაგრამ ჩემმა ოპერატორმა მოახერხა მიცვალებულის გადაღება და ჩვენს სტუდიაში გადაგზავნა, სადაც სახის ამომცნობი პროგრამის მეშვეობით მოხერხდა მისი ვინაობის უშუალოდ დადგენა და, როგორც გონივრული ეჭვის ფარგლებში ვვარაუდობთ, ეს უნდა იყოს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი წევრი, ვესტ პონტის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული, ლეიტენანტი აბიკა გიგაური... როგორც უკვე გითხარი, ეს ტერიტორია ჭრელი ლენტეხით შემოსაზღვრულია ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მიერ-თქო და აქ ისევ მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები-თქო. ახლა დაველაპარაკები ამ თანამშრომელს:

ჰენრი ფილდინგი (1707-1754) — ინგლისელი რომანისტი და დრამატურგი — განთქმულია უხეში იუმორითა და სატირით. „ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი“, რომელსაც უბრალოდ „ტომ ჯონსსაც“ უწოდებენ, მისი კომედიური და აღმზრდელი-ლობით-პიკარესკული უანრის რომანია. 1948 წელს გამოქვეყნებულ ნიგში — „დიდი მწერლები და მათი რომანები“ — სომერსეტ მოემმა „ტომ ჯონსი“ მსოფლიოს ათ საუკეთესო ნიგს შორის მოიხსენია. სემუელ კოლრიჯის აზრით კი, რომანს „საუკეთესო სიუჟეტი აქვს, რაც კი ოდესმე დაწერილა“ სოფოკლეს „იოდისოს მეფის“ და ბენ ჯონსონის „ალქიმიკოსის“ გვერდით. „ტომ ჯონსი“ პირველსავე წელს ოთხჯერ გამოიცა და ბესტსელერი გახდა. ის ფილდინგის უდიდეს ნაწარმოებად მიიჩნევა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინგლისურ რომანზე.

ნაწარმოები მოიცავს თვრამეტ ნიგს, თუმცა სიდიდის მიუხედავად სიცოცხლით სავსეა და ხალისით იკითხება. „ტომ ჯონსი“ მსოფლიო ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რაც მისი თარგმნის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ჰენრი ფილდინგი

# ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი

## ნიგნი 2

მოიცავს ცოლქმრული სიამტკბილობის სცენებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და კაპიტან ბლაიფილის და მის ბრიჯიტ ოლვორთის ქორწინებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში მომხდარ მრავალ ამბავს

### თავი 1

რომელიც მიგახვედრებთ, თუ რა სახის ამბავს გიყვებით — რას ჰგავს და რას არ ჰგავს

ამ ჩვენს ნაშრომს სამართლიანად დავარქვით ამბავი და არა ვინმეს ცხოვრება ანდა აპოლოგია, როგორც დღეს არის მიღებული; გადავწყვიტეთ, უფრო იმ მწერლების მეთოდს მივდიოთ, ქვეყნებში რევოლუციურ ძვრებს რომ ასახავენ, ვიდრე მივბაძოთ გატანჯულ და შრომისმოყვარე ისტორიკოსს, რომელიც თავს ვალდებულია მიიჩნევს, კანონზომიერების დასაცავად, იმდენივე ფურცელი დაუთმოს ყოველი თვის და წლის წერილმან ამბებს, არაფერი განსაკუთრებული რომ არ ხდება, რამდენიც კაცობრიობის უზარმაზარ სცენაზე გათამაშებულ მოქმედებებს.

ეს ისტორიები სინამდვილეში ძალიან ნააგავს საგაზეთო სტატიებს, რომლებიც თანაბარი რაოდენობის სიტყვებს უნდა შეიცავდეს, მნიშვნელობა არა აქვს, რაიმე ახალს იუნყებიან თუ არა. შეიძლება საფოსტო კარეტასაც შევადარო, სასეა თუ ცარიელი, მუდამ ერთსა და იმავე გზას რომ გადის. მათი ავტორი, ვგონებ, ფიქრობს, ვალდებულია, დროს ფეხი აუწყოს, მის პირად მდგინდ ნარმოვდგენია თვის და, თავისი ბატონის არ იყოს, ისევე ზანტად მოგზაურობს კლერიკალური სიჩლუნგის საუკუნეებში, როცა მთელი სამყარო ძილს მისცემია, როგორც შესანიშნავი რომაელი პოეტის მიერ აღწერილ ნათელ და მშფოთვარე ეპოქაში:

*არა დარჩება შეუცვლელი, ნარმავლობს ყველა, ბუნება შეცვლის ყოველსავე, სრულად აბრუნებს, ერთი კნინდება წელთ სიმრავლით, აკლდება ძალი, სხვა კი იზრდება,*

*წინათ მცირე, შეუმჩნეველი.*

ლუკრეციუსი, „საგანთა ბუნება“. ჩვენი მიზანია, მომდევნო გვერდებზე საპირისპირო მეთოდი გამოვიყენოთ. თუ რამე უჩვეულო მოხდება (დარწმუნებული ვარ, ხშირადაც მოხდება), არც ქალაქს და ვეზოვავთ და არც საკუთარ თავს; მაგრამ თუ წლები გავა ისე, რომ ფასეულს ვერაფერს შევნიშნავთ, არ მოვერიდებით, სიცარიელე გაჩნდეს ჩვენს ისტორიაში; სწრაფად გადავხტებით მნიშვნელოვან ამბებზე და განვიღებ პერიოდებს სრულიად განუხილველს დაგვტოვებთ.

ეს პერიოდები დროის დიდ ლატარიაში უშინაარსო სიცარიელედ უნდა მივიჩნიოთ. ვინაიდან ჩვენ ამ ლატარიის მშრალი აღწერა გვავალია, მივბაძავთ ლონდონის რატუშაში ლატარიის გამთამაშებელ გონიერ ადამიანებს, რომლებიც არასოდეს ან-

უხებენ საზოგადოებას უამრავი გადაყრილი უსარგებლო ნომრის დასახელებით, მაგრამ როცა დიდი მოგება გათამაშდება, გაზეთები აჭრელდება ამ ამბით და სამყარო უმდა შეიტყობს, რომელ კანტორაში გაიყიდა ილბიანი ბილეთი. ჩვეულებრივ, ისე ხდება, რომ დამსახურებას ორი ან სამი კანტორა იჩემებს, რითაც, ჩემი აზრით, სურთ ბედის მაძიებელთა დარწმუნება, თითქოს არსებობენ განსაკუთრებული შუამავლები, რომელთაც ბედ-ილბის საიდუმლოს ჩანვდომა შეუძლიათ და საერთოდაც, მისი საბჭოს წევრები არიან.


ჩემო მკითხველო, ამიტომ ნუ გაგიკვირდება, თუ ზოგიერთი თავი მეტისმეტად მოკლე შეგხვდება ან დანარჩენები — მეტი-სმეტად გრძელი; ზოგი ერთადერთი დღის ამბავს მოიცავს, ზოგი — წლებისას; მოკლედ, ეს ისტორია ხან ერთ ადგილზე გაიყინება, ხანაც გაფრინდება და ამის გამო არ მიმაჩნია თავი ვალდებული, რომელიმე კრიტიკული მსაჯულის წინაშე პასუხი ვაგო, რადგანაც მწერლობაში ახალი უანრის დამფუძნებელი გახლავართ და, შესაბამისად, თავისუფალიც, ჩემთვის სასურველი წესები შემოვიღო. ეს წესები მკითხველებმა, რომლებსაც საკუთარ ქვეშევრდომებად ვთვლი, უნდა აღიარონ და ირწმუნონ; და უფრო რომ შევამზადო და გავახალისო, გარწმუნებთ, ყოველმხრივ გავუადვილებ საქმეს და ვეცდები, ვასიამოვნო; მე ხომ ღვთიური ძალით დაჯილდოებული ტირანი არ ვარ და არც მკითხველი წარმომიდგენია ჩემს მონა-მორჩილად. მათზე მალა მათსავე სასიკეთოდ ვდგავარ, იმისთვის შემქმნეს, რომ გამოგადგეთ, კი არ გამოგიყენოთ. ისიც მჯერა, ვინაიდან მკითხველის ინტერესის გათვალისწინება ჩემს მთავარ მიზნად გავიხადე, ისინიც ერთხმად დამაფასებენ და დამსახურებულ თუ ნანატრ პატივისცემას მოვიპოვებ.

### თავი 2

რელიგიური წინდახედულობა, რომელიც უკანონო ბავშვების მიმართ მეტისმეტ მზრუნველობას არ იწონებს; და მისის დებორა უილკინსის დიადი აღმოჩენა

კაპიტან ბლაიფილის და ბრიჯიტ ოლვორთის ქორწინებიდან რვა თვის თავზე ახალგაზრდა, მშვენიერმა, ღირსეულმა და შეძლებულმა ქალბატონმა შესანიშნავი ბიჭუნა გააჩინა. ბავშვი მართლაც ყოველმხრივ სრულქმნილი იყო; ოღონდ მეანმა ქალმა შენიშნა, რომ ის ერთი თვით ადრე დაიბადა, ვიდრე უნდა დაბადებულიყო.

მართალია, საყვარელი დის მეგვიდრის გაჩენა მისტერ ოლვორთისთვის დიდად სასიხარულო მოვლენა იყო, ამან პატარა



ნაპოვარას მიმართ, რომელიც თავად მონათლა და თავისი სახელი, ტომასი, დაარქვა და რომლის მოსანახულებლად დღემდე ერთხელ მაინც შედიოდა საბავშვო ოთახში, გრძნობები არ გაუწელა.

დას შესთავაზა, თუ მოისურვებ, ახალშობილი და პატარა ტომი ერთად აღვზარდოთ, რაზედაც, მართალია ცოტა უხალისოდ, და დასთანხმდა: ის ხომ მუდამ დიდი მონდომებით აწონებდა ძმას თავს; ამიტომ ნაპოვარასაც ყოველთვის თბილად ექცეოდა, განსხვავებით უფრო ურყევი პრინციპების მქონე ქალბატონებისგან, რომელთაც უჭირთ, მიეფერონ ასეთ ბავშვებს, მართალია, უდანაშაულოთ, მაგრამ თავშეუკავებლობის ცოცხალ ძეგლებს.

სამაგიეროდ, კაპიტანი იოლად ვერ ეუბოდა იმას, რასაც თვითონ მისტერ ოლვორთის შეცდომად მოიხსენიებდა. ხშირად გადაჰკრავდა ხოლმე ქარაგმულად, ცოდვილის ნაყოფს თუ იშვილებ, მენც თანამონაწილე ხდებოდა. ციტატები მოჰყავდა (წმინდა წერილს ხომ კარგად იცნობდა), მამის ცოდვა შვილზე გადადისო; მამამ მუავე ყურძენი ჭამა და შვილს კბილი მოსჭრაო და კიდევ მრავალი სხვა. ასაბუთებდა, მშობლის შეცოდების გამო უკანონოდ შობილი ბავშვები უნდა დაისაჯონო. ამბობდა, მართალია, ჯერ კანონი არ შემოულიათ მათ მოსასობად, მაგრამ ეკლესია ასეთ ბავშვებს არავის შვილებად არ მიიჩნევს და საუკეთესო შემთხვევაში, ქვეყნის ყველაზე უღირსი სამსახურისთვის უნდა აღიზარდონო.

მისტერ ოლვორთიმ კაპიტნის ამ და ამავე საკითხზე გამოთქმულ სხვა განცხადებებს ასე უპასუხა: როგორი დამნაშავეებიც არ უნდა იყვნენ მშობლები, შვილები უცოდველები არიან. რაც შეეხება ციტატებს, პირველი კონკრეტულად ებრაელების წინააღმდეგ განცხადებული იქნა, ვინაიდან მათ კერძოთაყვანისმცემლობის გამო უარყვეს და შეიძულეს თავიანთი ღვთიური მეფე; მეორე კი მეტაფორული ნათქვამია და უფრო ცოდვის შედეგების უეჭველობაზე და გარდუვალობაზე მიათითებს. მაგრამ იმის წარმოდგენა, თითქოს ყოველსმეტად ღმერთი უნდა იძიებდეს უცოდველზე სხვისი დანაშაულის გამო, სირცხვილია, თუ არა მკრეხელობა. იგივე იქნება, წარმოდგინო, რომ ის სამართლის უმთავრესი პრინციპების წინააღმდეგია. წინააღმდეგია კეთილის და ბოროტის ძირეული ცნების, თავად რომ ჩავვიდო ტყინში, რათა არათუ ისეთ საკითხებზე შეგვძლებოდა მსჯელობა, ჩვენთვის ბუნდოვანი რომ არის, არამედ თვით გამოცხადების ქვეშარტებზეცო. კაპიტანს უთხრა, ვიცი, თქვენსავით ბევრი ფიქრობს, მაგრამ თავად სრულიად საპირისპირო აზრი ჰქონდა და იმ ბედკრულ ჩვილს ისე მოექცეოდა, როგორც ილბიანი კანონიერ ძეს.

ამასობაში, სანამ კაპიტანი ყოველ ღონეს ხმარობდა, მისტერ ოლვორთის ნაპოვარას მიმართ სიყვარული განულებოდა, მით უმეტეს რომ უკვე ეჭვიანობაც დაინჭუნა, მისის დებორამ ისეთი რამ აღმოაჩინა, საცოდავი ტომისთვის ბევრად უფრო დიდ საფრთხეს მოასწავებდა, ვიდრე კაპიტნის დასაბუთებული მსჯელობები.

ეს კეთილი ქალის დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობის წყალობით მოხდა თუ მისი ბლაიფილის გულის მოგება სურდა,

რომელიც მართალია, ყველას თავს აჩვენებდა, თითქოს ნაპოვარა უყვარდა, თუმცა მასაც და თავის ძმასაც ხშირად კიცხავდა ხოლმე, ვერაფერს გეტყვით; მაგრამ თავად მისის დებორას მტკიცედ სწამდა, რომ ნაპოვარას მამას მიაკვლია.

ახლა, ვინაიდან ეს ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენაა, აუცილებელია, ყველაფერს სულ თავიდან მოვყვეთ და ამიტომ დაწვრილებით გადავცნობთ, რა ამბები უსწრებდა წინ აღმოჩენას და, ამავე მიზნით, ერთი პატარა ოჯახის საიდუმლოებებს გაგიმხელთ, რომელსაც ჯერ მკითხველი არ იცნობს და რომელიც ისეთი უჩვეულო და იშვიათი ყაირათიანობით გამოიჩნეოდა, ბევრ დაოჯახებულ ადამიანს შეაცბუნებდა.

### თავი 3

მოგიხრობთ ერთი ოჯახის შინამმართველობაზე, რომელიც არისტოტელეს საპირისპირო წესებს ეფუძნებოდა

ჩემს მკითხველს ემახსოვრება, რომ ჯენი ჯონსი რამდენიმე წელი ერთ სკოლის მასწავლებელთან ცხოვრობდა და მან, ჯენის შესანიშნავი მონაცემების პირუთვნელმა დამფასებელმა, უანგაროდ შეასწავლა ლათინური. ჯენიმ ისე მოინდომა, რომ საბოლოოდ თავის მასწავლებელზე უკეთესი სწავლული დადგა.

მართალია, საცოდავმა კაცმა ისეთი პროფესია აირჩია, რომელიც კარგ განათლებას ითხოვდა, ყველაზე ნაკლებად განათლებით მოიწონა თავი ცხოვრებაში. ის ერთ-ერთი უკეთილშობილესი ადამიანი იყო, და ამას გარდა, ისეთი იუმორით ახლავს, მთელ საგრაფოში გაითქვა სახელი გონებამახვილობით; ნებისმიერ მეზობელ ჯენტლმენს სურდა მის საზოგადოებაში ყოფნა, მასწავლებელს კი უარის თქმა რომ არ ეხერხებოდა, ამ ჯენტლმენების სახლებში დიდ დროს ატარებდა, არადა სკოლაში გატარებული საათებით მეტად იხვირებდა.

ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი კომპეტენტური ჯენტლმენი იტონის და ვესტმინსტერის სასწავლებლებისთვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა. უკეთ რომ განემარტო, მისი მოსწავლეები ორ კლასად ნაწილდებოდნენ: მალა კლასში დადიოდა ახალგაზრდა ჯენტლმენი, მეზობელი სკვარიის ვაჟი, რომელიც ჩვიდმეტი წლის ასაკში მხოლოდ ახლა ეუფლებოდა სინტაქსს; დაბალ კლასში კი იმავე ჯენტლმენის უმცროსი ვაჟი წერა-კითხვას სწავლობდა სამრევლოს სხვა შვიდ ბიჭთან ერთად. პედაგოგს მრევლის მედავითნის და დალაქის საქმე რომ არ შეეთავსებინა და მისტერ ოლვორთისაც წლიური ათი ფუნტი არ დაემატებინა, საშობოდ რომ იღებდა ხოლმე და გულს იხარებდა წმინდა დღესასწაულის დღეებში, თავისი სკოლის მასწავლებლის ხელფასით ფუფუნებაში ვერ იცხოვრებდა.

სხვა განძეულობის გარდა, მას ცოლიც ჰყავდა, რომელიც მისტერ ოლვორთის სამზარეულოდან ნამოყვანა და რომელსაც სამზითვოდ ოცი ფუნტი მოექუჩებინა. დიდად მომხიბვლელი არ ყოფილა. ჩემს მეგობარ ჰოვარტს პოზირებდა თუ არა, ვერ

გეტყვი, მაგრამ ძალიან კი ჩამოჰგავდა ახალგაზრდა ქალს, თავის ქალბატონს ფინჯანში ჩაის რომ უსხამს სერია „მეძავის კარიერის“ მესამე ნახატზე. ამას გარდა, ქსანთიფეს მიერ დარჩებული კეთილშობილი სექტის თავგამოდებული მიმდევარი გახლდათ, რატომაც სკოლაში მისი გამოჩენა მეტ ძრწოლას იწვევდა, ვიდრე მისი ქმრისა. სიმართლე რომ ითქვას, ცოლის თანდასწრებით პედაგოგი თავს უპირატესად ვერც სკოლაში გრძნობდა და ვერც ვერსად.

მართალია, გარეგნულად რბილი ხასიათის ქალს არ ჰგავდა, მაგრამ შეიძლება გარემოებამ, რომელიც ზოგადად ძირს უთხრის ოჯახურ ბედნიერებას, კიდევ უფრო გაამკაცრა; ბავშვებს ხომ მართებულად ეძახიან სიყვარულის ნაყოფებს, მის ქმარს კი ქორწინებით ცხრა წლის შემდეგაც არ მოუცია ეს ნაყოფი; ვალდებულებების შეუსრულებლობას ვერც ავადმყოფობით და ვერც სიბერით ვერ გაამართლებდა, მას ხომ ჯერ ოცდაათიც არ შესრულებოდა და ხალისიანი და ცქვიტი ყმაწვილი გახლდათ.

აქედან წარმოიშვა სხვა უბედურებაც, რის გამოც საცოდავი პედაგოგი საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს. ცოლის მუდმივი ეჭვიანობის გადამკიდვე, სამრევლოს ქალებს ვერ დალაპარაკებოდა; რომელიმე ქალის მიმართ გამოვლენილი ოდნავი თავზაზღაპრობისთვის ან მასთან გასაუბრებისთვის, ორივეს ცოლის რისხვა ატყდებოდა თავს.

საკუთარ სახლში ცოლქმრული ღალატის საფრთხე რომ გამოერიცხა, მოახლედ იმ ყადის ქალებს ირჩევდა, რომელთა გარეგნობა პატიოსნების სანინდარი იქნებოდა და რომელთა რიცხვიც, მკითხველს ემასხორებდა, ჯენი ჯონსიც ერია.

ვინაიდან ამ ახალგაზრდა ქალის გარეგნობაც მისი პატიოსნების სანინდარი იყო და ვინაიდან განსაკუთრებული მოკრძალებით ეჭირა თავი, რაც ასევე მის შეგნებულობაზე მეტყველებდა, მისტერ პარტრიჯის (ასე ერქვა სკოლის მასწავლებელს) სახლში ხუთი წელი ისე დაყო, ქალბატონს სრულებითაც არ შეეჭვანია. ის კი არა, უჩვეულოდ კეთილადაც ეპყრობოდა და უფლებას აძლევდა, უკვე ნახსენები გაკეთილები მიეღო მისტერ პარტრიჯისგან.

მაგრამ ეჭვიანობა ხომ ნიკრისის ქარივითაა, თუ სისხლში ერთხელ მოხვდა, კაცმა არ იცის, როდის შემოგიტყვს; და უმეტესად ისეთ დროს იჩენს თავს, სულ რომ არ ელოდები.

სწორედ ასე დაემართა მისის პარტრიჯსაც, რომელიც ოთხი წელი ითმენდა, მისი ქმარი ახალგაზრდა ქალს რომ ამეცადინებდა და თვალს ხუჭავდა, ხშირად სწავლის გამო მოახლე საქმეს თუ მიაფუჩჩებდა. ერთხელ გოგონა თაქნალუხული კითხულობდა, მისკენ დახრილი მასწავლებელი რაღაცას ეუბნებოდა, უცებ მოახლე უმიზნოდ წამოხტა სკამიდან და მამის იყო, მისის პარტრიჯს პირველად რომ შეეპარა ეჭვი. იმ წუთს არ გაუმჯღავნებია, მაგრამ გულში ჩაიღო და ისე დამალა, როგორც მტერი ჩასაფრდება ხოლმე დამატებითი ძალების მოლოდინში, მერე უეცრად რომ დაესხას თავს მონინალმდეგეს; და ეს დამატებითი ძალაც მალევე გამოჩნდა; არ გასულა დიდი ხანი, ცოლ-ქმარი სადილობდა და მასწავლებელმა მოახლეს მიმართა: *Da mihi apiquid potum* (რამე სასმელი მომანოდე), რაზედაც გოგონას გაეღიმა, შესაძლოა, მასწავლებლის ცუდი ლათინურის გამო და როცა ქალბატონმა შეხედა, განითლდა, ალბათ სინდისმა თუ შეაწუხა, მასწავლებელს რომ დასცინა. აქ მისის პარტრიჯი გაცეცხლდა, ჯენის თავში ხეთქა თავისი თევში და უყვირა: უსირცხვილო ბოზო, ჩემი თანდასწრებით ჩემს ქმარს როგორ ეკეკლუტები? იმავე წამს, დანით ხელში წამოფრინდა სკამიდან და სავარაუდოდ ტრაგიკულად იძიება შურს, ჯენი უფრო ახლოს რომ არ მდგარიყო კარებთან და გაქცევით არ ეშველა თავისთვის; რადგან საცოდავი ქმარი ან გაოგნებისგან გაშეშდა, ან შიმში შეიპყრო (რაც უფრო ახლოსაა სიმართლესთან) და სრულიად უძლური იყო, წინააღმდეგობა გაენია, იჯდა და კანკალედა; არც განწირულა და არც ხმა არ გაუღია, ვიდრე ჯენის გადგენებული ცოლი არ დაბრუნდა, მერე კი უკვე, მოახლის არ იყოს, მანაც თავს უშველა და იქაურობას გაერიდა.

ეს კეთილი ქალი აშკარად ოტელოსავით იყო განწყობილი:

— ნუთუ გგონია,  
— ეს სიცოცხლე ეჭვიანობას  
ავაყოლო და  
მთვარის ყოველ განახლებასთან  
ახალ-ახალი ეჭვი გულსა შევუშვა!  
— არა, ჩემს ეჭვს

საქმეც თან სდევს გადანყვებილი!  
ამიტომ ჯენის უბრძანა, იმწამსვე აეკრიფა ბარგი-ბარხანა და ნათრეულიყო, ამ სახლში ერთ ღამესაც არ გაგათევიანებო.

მისტერ პარტრიჯს უკვე საკმარისი გამოცდილება დაჰგროვებოდა, რათა მიმხედარიყო, რომ ასეთ დროს ჩარევა არაა საჭირო. ისლა დარჩენილი, ჩვეული მოთმინებისთვის შეეფარებინა თავი, მართალია, ლათინურის დიდი მცოდნე არ ყოფილა, მაგრამ ამ სიტყვებში ჩადებული რჩევა ახსოვდა და გააზრებული ჰქონდა:

— *Leve fit quod fertur onus.*  
— რაც ასე ითარგმნება:  
— ტვირთი მსუბუქდება, თუ ჭკუით ატარებ.

ეს ფრაზა სულ ენაზე ადგა და არაერთხელ დარწმუნებულა მის სიმართლეში.

ჯენიმ გაიბრძოლა, რომ თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა, მაგრამ ქარიშხალი ისე ბოლოქოვდა, მისი სიტყვები არავის ესმოდა. სხვა რა დარჩენოდა, ბარგის ჩალაგება დაიწყო, ყველაფერი რამდენიმე ყავისფერ გასახვევ ქაღალდში გამოკრა, აიღო თავისი მოკრძალებული გასამრჯელო და შინ დაბრუნდა.

სკოლის მასწავლებელმა და მისმა ქალბატონმა ის საღამო უხალისოდ ჩაამთავრეს, მაგრამ ვიდრე ახალი დღე გათენდებოდა, რაღაც ისეთი მოხდა, რამაც მისის პარტრიჯის მძვინვარება ცოტათი ჩააცხრო; ბოლოს და ბოლოს ნება დართო ქმარს, ბოდიში მოეხადა; და უფრო იოლად დაუჯერა, ვინაიდან მას არ უთხოვია ჯენის დაბრუნება, კმაყოფილებაც კი გამოთქვა, რომ გააგდეს: არც მოახლედ ვარგოდა, მთელ დროს წიგნებში თავჩარგული ატარებდა და კიდევ, ძალიან გათავხვდიდა და გაჯიუტდა; მართლაც ბოლო ხანს ჯენი და მისი მასწავლებელი ხშირად კამათობდნენ ლიტერატურაზე და, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯენის უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა. მისტერ პარტრიჯი ამას ვერაფერად შეუმხვევია ვერ შეეგუებოდა, ამიტომ ჯენის დაუინებას, სიმართლე დაემტკიცებინა, სიჯიუტე უწოდა, საბოლოოდ კი მის მიმართ მტრულად განწყობდა და სიძულვილით განიშტყვალა.

**თავი 4**

**მოიცავს ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან ბრძოლას ან უფრო ორთაბრძოლას, რომელიც კი ჩანერილა ცოლქმრული ცხოვრების ისტორიაში**

წინა თავში ნახსენები მიზეზების გამო და კიდევ ცოლქმრული ურთიერთდათმობიდან გამომდინარე, რომელიც ქმრების უმრავლესობისთვის კარგადაა ცნობილი და რომელიც, მასონური საიდუმლოსი არ იყოს, მხოლოდ ღირსეული საქმის წევრებს შეიძლება გაუმხილო, მისის პარტრიჯი დარწმუნდა, ქმარი უმიზნოდ რომ გაეციცხა და შეცდომის გამოსწორება მოფერებით სცადა, მაგრამ როგორი მძვინვარე გაბრაზებაც იცოდა, აღერსიც ისეთივე თავაშეგებული სჩვეოდა.

მართალია, ეს ვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ისე არ გაივლიდა ოცდაოთხი საათი, პედაგოგი მათი ობიექტი არ ყოფილიყო, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ მტისსმეტად მძვინვარე რისხვას მშვიდობაც უფრო ხანგრძლივი მოსდევდა: ასე მოხდა ამჯერადაც; ეჭვიანობის შეტევამ რომ გადაიარა, ქმრის მიმართ კეთილგანწყობამ გაცილებით მეტხანს გასტანა, ვიდრე ის ელოდა. და რომ არა პატარ-პატარა ვარჯიშები, ქსანთიფეს მიმდევრები ყოველდღიურად რომ ასრულებენ, მისტერ პარტრიჯი რამდენიმე თვეს ალბათ უდარდელად და მშვიდად გაატარებდა.

გამოცდილ მეზღვაურებს თუ დავუჯერებთ, ზღვაზე გამეფებული სრული სიწყნარე ქარიშხლის მაუსწყებელია, ზოგიერთი ჩემი საგვებით არაცრუწმუნე ნაცნობი კი მიიჩნევს, რომ უჩვეულო სიმშვიდეს და გაყურებას ყოველთვის საპირისპირო ვითარება მოსდევს. ალბათ ამავე მიზეზით სწირავდნენ ძველად ადამიანები მსხვერპლს ასეთ დროს ნემესისს — ქალღ-

მერთს, რომელიც, მათი რწმენით, შურით უცქერდა კაცთა ბედნიერებას და განსაკუთრებული სიამოვნებით უსწორდებოდა მათ.

ვინაიდან შორს ვართ, ვირწმუნოთ წარმართი ქალმერთი ან ცრურწმენა ნავახალისოთ, ვისურვებდით, მისტერ ჯონ ფრ.....-მა ან ვინმე სხვა ფილოსოფოსმა კეთილი ინებოს და მთელი გულისყურით მოეკიდოს ამ საქმეს, დაადგინოს ნამდვილი მიზეზი კარგი და ავი ბედისწერის მონაცვლეობისა, რაც ასე ხშირად ხდება და რომლის მაგალითსაც ჩვენ მოგვანვით; ჩვენი ვალა, მხოლოდ ფაქტებზე მოვიხიროთ, მიზეზების დადგენას კი გენიოსებს მივანდობთ.

ადამიანები ყოველთვის დიდი სიამოვნებით ისმენენ სხვისი ცხოვრების ამბებს და დიდი სიამოვნებითაც განსჯიან მათ. ამიტომ ყველა საუკუნეში და ყველა ხალხს ჰქონია განსაკუთრებული თავშეყრის ადგილები, სადაც ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდნენ. დალაქის მონაყოლი ახალი ამბები ძველბერძნულ ანდაზაშიც მოიხსენიება; ჰორაციუსი ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში პატივისცემით ახსენებს რომაელ დალაქებს.

ინგლისელი დალაქები ბერძენი და რომაელი წინაპრების ღირსეული მიმდევრები გამოდგნენ. სადალაქოში ქვეყნის საგარეო საქმეებს ისე სერიოზულად განიხილავენ, ყავახანას არ ჩამოუვარდებიან, ხოლო საშინაო ვითარებებს — გაცილებით უფრო ვრცლად და მეტი სიზამძიით. მაგრამ ეს მხოლოდ მამაკაცებს ეთქვა. ვინაიდან ამ ქვეყნის ქალებს, განსაკუთრებით კი დაბალი ფენის წარმომადგენლებს, სხვა ეროვნების ქალებზე მეტად უყვართ თავშეყრა, ჩვენი სახელმწიფოებრივი ნყოფა სრულყოფილი ვერ იქნებოდა, ქალებს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი ადგილი რომ არ ჰქონდეთ გამოყოფილი, რადგან ამ თვალსაზრისით ისინი ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან ადამიანთა სახეობის მეორე ნახევარს.

შეხვედრის ადგილის შერჩევაში ბრიტანელებს მათ უცხოელ დებზე მეტად გაუმართლათ, ვინაიდან არც ისტორიაში ნამიკითხავს ასეთი რამ და არც მოგზაურობისას შემიმჩნევია. მათი შეხვედრის ადგილი, არც მეტი არც ნაკლები, წვრილმანი საქონლის მალაზიაა და იქ ყველაფრის გაგება შეიძლება. ინგლისში ყველა სამრევლოს აქვს ასეთი ადგილი, სადაც, უხეშად რომ ვთქვათ, ქალები ჭორაობენ.

ერთხელაც მისის პარტრიჯი ქალთა სხდომას რომ ესწრებოდა, მეზობელმა ქალმა ჰკითხა, ამ ბოლო დროს ჯენი ჯონსისა ხომ არაფერი იცო, რაზედაც უარყოფითი პასუხი გასცა. ქალმა ღიმილით მიუგო, მრევლი თქვენგან დავალებულია, ჯენი რომ გააგდეთო.

მისის პარტრიჯმა, რომელსაც, მკითხველს ემასხორებდა, ეჭვიანობის შემოტევა უკვე დიდი ხნის გადავლილი ჰქონდა და სხვა აუგი აზრი თავის მოახლეზე არ გააჩნდა, მოურიადებლად უთხრა მეზობელს, არ ვიცი, რა დავალებულობაზე მელაპარაკებით, ჯენისთანა მეორე არ არის ამ მრევლშიო.

— მართლაც რომ, — თქვა ჭორიკანამ, — იმედა, მეორე არ გვეყოლება ჯენისთანა, თუმცა გომბიობი საკმაოდ გვყავს. მაშ, არ გეცოდინება, ტყუპი ნაბიჭვარი რომ გააჩნია. მაგრამ რახან აქ არ დაბადებულან, ჩემი ქმარიც და მეორე ზედადხედველიც ამბობენ, ჩვენ არ ვართ ვალდებულები, იმ ბავშვებს მოვუაროთო.

— ორი ნაბიჭვარი?! — გაცხარებით გაიმეორა მისის პარტრიჯმა, — როგორ მაოცებთ! მოვლაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აქ დაორსულდა, ჯერ ცხრა თვე არ გასულა, რაც ნავიდა.

ვერაფერი შეედრება გონების მუშაობის სისწრაფეს, განსაკუთრებით როცა იმედი, შიში ან ეჭვიანობა, პირველი ორი ყოველთვის თან რომ ახლავს, აამოქმედებს ხოლმე. მასაც წამიერად გაუნათდა გონება — ჯენი, ვიდრე მათთან ცხოვრობდა, თითქმის არ გადიოდა სახლიდან. როგორ იყო დახრილი სკამისკენ მისი ქმარი, ჯენის მოულოდნელი მეცბუნება, ლათინური, ღიმილი და კიდევ ბევრი სხვა რამ ერთბაშად ამოუტივტივდა. ქმარმა რომ კმაყოფილება გამოთქვა ჯენის წასვლის გამო, ახლა თვალთმაქცობად მოეჩვენა, მაგრამ ამავე დროს გულწრფელობადაც, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მის ეჭვიანობას. მოკლედ, ქმრის ცოდვებში ღრმად დარწ-

მუნებულმა და თავგზააბნეულმა სწრაფად დატოვა სხდომა.

მართალია, შინაური ფისო თავისი ოჯახის უმცროსი წარმომადგენელია და კეთილშობილი ვეფხვივით ძლიერი არ არის, მაგრამ როცა მის მიერ თავშესაქცევად გატანჯული თავი დროებით კლანჭებიდან დაუსხლტება, ღიზინდება, აწიხლდება და იღრინება; ასეთ დროს თუ იმ ყუთს ან სკივრს გააჩოჩებთ, რომლის უკანაც თავგია მიმალული, ელვის სისწრაფით ეცემა თავის მსხვერპლს და გააფთრებული კბენს, პორტყნის და ფლეთს საცოდავ პატარა ცხოველს.

ლაშის ასეთივე გააფთრებით ეცა მისი პარტრიჯი სანყალ პედაგოგს. ენა, კბილები და ხელები ერთად აამუშავა, წამში მოგლიჯა პარიკი, შემოახია პერანგი, ბუნების მიერ მისთვის ნაბოძები ხუთი კლანჭით მისტერ პარტრიჯის სახეზე დარჩენილი ხუთივე იარიდან სისხლმა იფეთქა.

მისტერ პარტრიჯი ერთხანს მხოლოდ თავს იცავდა; სახეზე ხელები აიფარა, მაგრამ რომ დაინახა, ცოლის მრისხანება არ ცხრებოდა, იფიქრა, იქნებ მისი განიარაღება მაინც ცვალო და ხელები გადავუგრიხოო. ეს რომ გადაწყვიტა, შუა ჭიდაობაში მისის პარტრიჯს ჩაჩი მოსძვრა და მოკლედ შეკრეჭილი თმა ყალყზე დაუდგა; ცალ ღუგმაზე შეკრული კორსეტი შეეხსნა და ძუძუები, თმისგან განსხვავებით მეტისმეტად გრძელი რომ ჰქონდა, წელს ქვემოთ ჩამოუვარდა; კბილები რისხვით უელავდა; თვალებიდან ისე სცვიოდა ცეცხლის ნაპერწკლები, როგორც სამჭედლოს ქურიდან. ეს ამორძალი მისტერ პარტრიჯზე ბევრად უფრო გულად კაცსაც შეაძრწუნებდა.

ბოლოს და ბოლოს გაუმართლა პედაგოგს და ცოლს ხელები დაუჭირა, ასე რომ, ფრჩხილებს ველარ იხმარდა. სწორედ ამ დროს ქალთა სექსისთვის დამახასიათებელმა სინაზემ მრისხანება დაჯაზნა და მისის პარტრიჯს ცრემლი წასკდა, რასაც გულყრა მოჰყვა.

სალმა აზრმა, ასე თუ ისე რომ ინარჩუნებდა მისტერ პარტრიჯი მძვინვარე ბრძოლისას, რომლის გამომწვევი მიზეზი მისთვის სრულიად უცნობი იყო, საბოლოოდ მიატოვა; ყვირილით გავარდა ქურჩი და მეზობლებს დახმარება ემუდარებოდა, ჩემი ცოლი სიკვდილის პირასააო. რამდენიმე კეთილმა ქალბატონმა შეისმინა მისი ვედრება, ისინი სახლში შევიდნენ, ამგვარი ვითარებისთვის საჭირო ხერხებს მიმართეს და ქმრის გასახარად, მისის პარტრიჯი მალე მოასულერეს.

როგორც კი ქალი გონს მოეგო და დამშვიდდა, საზოგადოებას ქმრისგან მიყენებული ურიცხვი ზიანის შესახებ აუწყა: ქმარმა არათუ ცოლ-ქმრის სარეცელი შეურაცხყო, საყვედურის პასუხად წარმოუგეგმელ სისასტიკე გამოავლინა, ჩაჩი მოაგლიჯა და თმით ითრია, კორსეტი შემოახია და იმდენი ურტყა, ალბათ სამარეში ჩაიყოლებს იარებს.

საცოდავი კაცი, რომელსაც სახეზე ცოლის აღმფთვების ბევრად უფრო ცხადი კვალი აჩნდა, გაოგნებული ისმენდა, როგორ ადანაშაულებდნენ და მკითხველიც დადასტურებს, რომ დადანაშაულება სიმართლისგან შორს იყო — მას ხომ არც ერთხელ არ შემოუკრავს ცოლისთვის. მისი დუმილი სასამართლო აღიარებდა მიჩინა და ყველა ერთხმად მოჰყვა ლანძღვას, ქალზე ხელს მხოლოდ ლაჩარი აღმართავსო.

მისტერ პარტრიჯი მოთმინებით იტანდა ყველაფერს, მაგრამ როცა ცოლმა ქმრის ბარბაროსობის დასამტკიცებლად მისი სისხლი საკუთრად გასაღა, ვერ მოითმინა და პრეტენზია გამოთქვა სისხლის შესაკუთრებაზე, რადგან შურისძიებისთვის ასეთი მეთოდის გამოყენება ძალიან არაბუნებრივი ეჩვენებოდა.

ქალებმა მხოლოდ ის უთხრეს, საწყენია, სისხლი გულნიდან რომ არ წაგსკდაო და მერე განაცხადეს, ქმრებმა ხელი რომ დაგვაკარონ, გულიდან გამოვწოვოთ სისხლსო.

მას შემდეგ, რაც მისტერ პარტრიჯი წარსული ნამოქმედარის გამო გაიციცხა და დარბიგეს, როგორ მოქცეულიყო სამომავლოდ, საზოგადოება დაიშალა; ცოლ-ქმარი მარტო დატოვეს სალაპარაკოდ და ამ საუბრიდან მისტერ პარტრიჯი მალე გაიგებს თავისი ტანჯვის ნამდვილ მიზეზს...



ფედერიკო გარსია ლორკა

მადრიგალი

ჩემი ამბორი ბრონეულს ჰგავდა,
ბაგეგაპობილს;
შენი ტუჩები ვარდის ფურცლებს
ქალაღლით შექმნილს.

ხოლო ჩვენს უკან თოვლის მინდორი.

ჩემი მკლავები ლითონი იყო
გრდემლზე სანთობი;
შენი სხეული — მზის ჩასვლისას
ზარების რეკვა.

ხოლო ჩვენს უკან თოვლის მინდორი.

შემოაღწია სილაჟვარდემ
თავის ქალაში,
ჩემი „მიყვარხარ“ დაიღვენთა
სტალაქტიტებად.

ხოლო ჩვენს უკან თოვლის მინდორი.

ჩემი ბავშვობის ოცნებები
ხავსმა დაფარა,
მთვარე გაბურღა დაგრეხილმა
ჩემმა ტკვილმა.

ხოლო ჩვენს უკან თოვლის მინდორი.

ახლა პირქუში ოსტატი ვარ,
მკაცრი მავსტრო,
ჩემი ტრფობა და ოცნებები
(ბრმა ფაშატები).

და ჩვენს უკან კი თოვლის მინდორი.

სომანამაშულური რომანსი

მწვანე მესურვები, მწვანე.
მწვანე რტონი მწვანე ქარში.
ზღვაში მოცურავე ნავი,
ცხენი მოჭიხინე, მთაში.
ჩრდილშია, ოცნებებს ასდევს
ქალი, მოაჯირთან მდგარი,
მწვანე თმა და მწვანე ტანი,
ცივი ვერცხლის ელვით თვალნი.
მწვანე მესურვები, მწვანე.
ბოშური მთვარეა ხეთა
ტოტებში, ქალს უმზერს ყველა,
ქალი კი ვერავის ხედავს.

მწვანე მესურვები, მწვანე.
დიდი ვარსკვლავები თრთვილის
ჩრდილის თევზს მოსდევენ უკან,
გზის მაჩვენებლები დილის.
ლეღვის ხის ფოთლების ხაო
მისსავე ქარს ხეხავს ურჩად,
ბექობს კი, აფხორილ კატას,
აგავის ეკლები უჩანს.
ვინ მოვა? რომელი მხრიდან?
მოაჯირს ყვრდნობა ისევ,
მწვანე თმა და მწვანე ტანი,
ზღვის ხმაურს ფიქრებში ისმენს.

— ნათლიავ, გავცვალო ცხენი
მის სახლზე, არ მინდა მეტი,
აემარ-უნაგირში — სარკე,
დანაში — იმისი პლუდი.
კაბრის ხეობიდან მოვალ,
უკან სისხლის კვალი მომდევს.
— მე რომ შემძლებოდეს, ბიჭო,
არ შეგაყოფნებდი რჩევით.
მაგრამ მე არ ვარ უკვე,
ალარც ჩემი სახლი — ჩემი.
— მინდა, ღირსეულად მოკვდე,
საკუთარ სანოლში, მშვიდად.
ეგებ რკინის იყოს, ზედ კი
ლოგინს ჰოლანდიურს შლიდნენ.
ვერ ხედავ, მკერდიდან ყელზე
სისხლის რომ მავლია რიდე?
— სამასი წითელი ვარდი
შენს თეთრ გულისპირზე ყვავის.
სისხლით გაჟღენთილა სულმთლად
ეგ შენი ქამარიც ტყავის.
მაგრამ მე არ ვარ უკვე,
ალარც ჩემი სახლი — ჩემი.
— მაშ, ზემოთ ამიშვი მაინც,
მაღალ მოაჯირთან ავალ;
ამიშვი, ამიშვი ზემოთ!
მწვანე მოაჯირთან ავალ.
მთვარის მოაჯირთან, სადაც
ტალღები ხმაურით ჩქეფენ.

აუყვენე მოაჯირს ზემოთ,
ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი.
ტოვებდნენ ნაკვალევს სისხლის.
ტოვებდნენ ნაკვალევს ცრემლის.
თრთიან სახურავის გასწვრივ
თუნუქის ფარნები ძრწოლით.
დილა დაამსხვრია ირგვლივ
ათასი დაირა ბროლის.

მწვანე მესურვები, მწვანე.
მწვანე რტონი მწვანე ქარში.
ორივე ავიდა მაღლა.
ქარი დაქროლავს და მიდის.
რჩება უჩვეულო გემო
ნალღვლის, რეჰანის, პიტნის.
— ნათლიავ, სად არის, მითხარ,
შენი ქალიშვილი მწარე?
— სულ შენს მოლოდინში იყო!
ცრემლი აღარ შერჩა თვალებს,
ნორჩი პირისახე, შავი
თმა და მოაჯირი მწვანე!

ტბორის ზედაპირზე მოჩანს,
როგორ როკავს ბოშა ქალი.
მწვანე თმა და მწვანე ტანი,
ცივი ვერცხლის ელვით თვალნი.
მთვარის ციალება იჭერს,
ფერხთ რომ არ ემსხვრევა წყალი.
ჩამოწვა საამო ღამე,
ბინდი მოეფინა არეს.
მთვარალმა ჟანდარმებმა როცა
ბრახუნი დაუნყეს კარებს.
მწვანე მესურვები, მწვანე.
მწვანე რტონი მწვანე ქარში.
ზღვაში მოცურავე ნავი,
ცხენი მოჭიხინე, მთაში.

თარგმნა პასილ გულუშრაბა

მიხო მოსულიშვილი
ტურის
ქორნილი

დასასრული

— თქვენ, გამარჯობათ, თქვენ, თუ შეიძლება, გვითხარით, მართლა თავი მოიკლა ეჭვმიტანილმა თუ ეს უფრო უბედური შემთხვევა იყო? თქვენ, მართლა „კუმისის ტბის მანიაკია“ თუ არა? საერთოდ, მართალია, რომ სპეცდანიშნულების რაზმის წევრი იყო? გთხოვთ, გვიპასუხეთ, ეთერში ხართ...“

\*\*\*

შემთხვევის ადგილიდან შორიანხლოს, ქოლგებისა და შეზღონგების დასტებთან ჩამომჯდარი ოთარ ბექერიმი ფაქტს ანადგურებდა, მოჭმუჭნილ ქალაღდს სანთებლიდან უკიდებდა ცეცხლს.

იქვე მალაღი და ხმელ-ხმელი ლაზი იდგა, კვლავაც თავისი ქართული ნაგაზი ეჭირა საბლით, სიგარეტს ეწეოდა, ალმაცერად უყურებდა შემოლობილში მოფუსფუსე ფორმიან თუ უფორმო ძალოვანებს და ოთარის ქართულად ნაჩურჩულარზე: „ჩემი ყურით გავიგონე, როგორ უყვირა ამათ — იმ თქვენ პოდპოლკოვნიკ გუსავატკინს სწორედ მე დავაჭედე ტყვია თვალებს შორისო!“, ესლა აღმოხდა:

— ეუფ!.. — თან სამართალდამცავებისთვის არ მოუშორებია თვალი, ისე დასძინა ლაზურად, თან დიდი სინანულით — აია დუნია მი სდოსქიდერენ<sup>1</sup>...

ოთარ ბექერიმმა იმ ქალაღდის დაწვა მოამთავრა, რომელზეც ბამარ ვანილიშის თოლიების ნაკვალევით აჩხაბაჩხა ნანერი იყო, ფერფლი სულის შებერვით გაფანტა, წამით შეავლო მზერა თანამოსაუბრეს, მერე ისევ შემთხვევის ადგილისკენ გაიხედა, აქეთ-იქით გადაიქინა თავი, მხრებიც აიჩეჩა და ლაზურ სიმღერებში რომ მარადიული სევდაა, აი, იმით აღსავსე ხმით მიუგო:

— ჩხომიქ თქვერენ: ოთქუში დიდო მილუნ, ჰამა პიჯი ნკარიითენ მილუნ იოფმა-ია<sup>14</sup>...

ხმელ-ხმელი ლაზი ალაგ-ალაგ მოღრუბლულ ცაში იყურებოდა, საიდანაც თან წვიმდა და თან მზეც ანათებდა, თუმცა იმდენად ამინდზე არა, რამდენადაც გარდაცვლილზე თქვა:

— მკიაფუს დუგუნი იენია<sup>15</sup>...

<sup>1</sup> Angry Birds — ინგლ. „გაბრაზებული ჩიტები“, პოპულარული ვიდეოთამაში.

<sup>2</sup> ლარაკეკა — მდინარე ოჩამჩირისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში, ენგურის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, 2185 მეტრ სიმაღლეზე.

<sup>3</sup> რაცია Kenwood — იაპონური კენვუდის კორპორაციის წარმოების პორტატული რაცია, აფეთქებისგან დაცული რადიოსადგური, გამოიყენება პოტენციურად ფეთქებადნადიმ ადგილებში სამუშაოდ და ანული ხმაურის პირობებში.

<sup>4</sup> კოჩი კოჩითენ, ლობერი მძგუჯითენ — ლაზურად: „კაცო კაცითა, ლობე ბოძითა“.

<sup>5</sup> Second Lieutenant — ინგლ. „მეორე ლეიტენანტი“, უმცროს ოფიცერთა სამხედრო წოდება, რომელსაც ანიჭებენ ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულ კადეტებს.

<sup>6</sup> Seashells — ინგლ. „ნიჭარები“.

<sup>7</sup> მსკუფი სეის თუთა უნონ, სეფილი ქიმოლის ნოსეი ოხორჯა უნონ — ლაზურად: „წყვიდად ღამეს მთვარე უნდა, სულელ ქმარს — ჭკვანი ცოლი“.

<sup>8</sup> Man Overboard! — ინგლ. „ბორტს მიღმა კაცია!“, საგანგაშო შეხიდილი გემებზე, როცა ზღვაში დაინახავენ ადამიანს.

<sup>9</sup> Then let's throw him a lifeline! — ინგლ. „შაშინ სამაშველო ბაგირი გადაეუგდოთ!“.

<sup>10</sup> Okay, you sit down here! — ინგლ. „კარგი, აქ დაჯექი!“.

<sup>11</sup> I was drowning, and there was no one to throw me a lifeline — ინგლ. „ვიხრჩობოდი და არავინ იყო მაშველი ბაგირის გადმოშვებით“.

<sup>12</sup> ბეთმეზი — თურქულად პეკმეზ. ხანგრძლივად დადუღებული ხილისგან საგანგებოდ დამზადებული, შეხქელებული და თაფლივით ტკბილი წვენი.

<sup>13</sup> აია დუნია მი სდოსქიდერენ... — ლაზურად: „ეს ქვეყანა ვის შერჩენია“.

<sup>14</sup> ჩხომიქ თქვერენ: ოთქუში დიდო მილუნ, ჰამა პიჯი ნკარიითენ მილუნ იოფმა-ია... — ლაზურად: „თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსე“.

<sup>15</sup> მკიაფუს დუგუნი იენია — ლაზურად: „ტურის ქორნილი“. ეს გამოთქმა ლაზურში გამოიყენება ისეთი ამინდის აღსანიშნავად, როცა თან წვიმს და თან მზე ანათებს. აჭარულ დიალექტზეც ამბობენ: „ტურის ქორნილი“ ან „ტურა-ქორნილია“. ლიტერატურულ ქართულზე ამ შემთხვევაში იტყვიან — „მზე პირს იბანსო“.



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 1772346 1794004